ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 27 სექტემბერი, 2022 №190 (8968) ფასი: 80 თეთრი

## 13 წლის შვილიშვილზე სექსუალური ხასიათის ქმედების ბრალდებით ბავშვის ბაბუა დააკავეს




გვ.5



გვ.5

## სუს-ი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

# „მელიამ „ქართულ ოცნებას“ ხელში კოზირი ჩაუგდო“



გვ.2

თორნიკე შარაშენიძე: „მელიას ლიდერობა უნდა, მაგრამ ნაციონალების რეალური ლიდერი ციხეშია“





გვ.3

## „უნდოდათ, შეექმნათ ანტურაჟი, რომ ხალხს მიშა არ აინტერესებს“

## „ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, პუტინი ყველაფერზეა წამსვლელი“



გვ.3

სოსო ცინცაძე: „მოსკოვში რევოლუციას გამოვრიცხავ“

## მიხეილ ყაველაშვილი: „მოვუწოდებ აშშ-ის საელჩოს“



გვ.3



გვ.4

ახმედ ზაკაევი: „ამერიკელები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსები საქართველოში კისერს წაიტეხდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა“

## „უკრაინის გამარჯვების შემდეგ ჩეჩნეთის დეოკუპაცია რამდენიმე დღეში მოხდება“



## ბადრი ბასიშვილმა ენმ-ს პოლიტსაბჭო დატოვა



გვ.3



გვ.3

„ჩაახშვე საპროტესტო აქციები“ — პუტინის ბრძანება კადიროვს

## სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯები იზრდება



გვ.2

1993230720223

4 სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა

3 ფინანსთა მინისტრი: „არანაირი დრამატული სიტუაცია არ არის“

6 ციხის თანამშრომელს პატიმართან რომანი დაპატიმრებად დაუჯდა

6 მამაკაცმა ავტომობილი ორი წლის ბავშვთან ერთად გაიტაცა

# „მელიამ „ქართულ ოცნებას“ ხელში კოზირი ჩაუგდო“

## თორნიკე შარაშენიძე: „მელიას ლიდერობა უნდა, მაგრამ ნაციონალების რეალური ლიდერი ციხეშია“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.**



***— ბატონო თორნიკე, მას შემდეგ, რაც პუტინმა რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაცია გამოაცხადა, საქართველოს საზღვარს უამრავი რუსი მოაწყდა. ეს საკითხი საქართველოს მოსახლეობას ძალიან აშფოთებს. რა პრობლემები შეიძლება მოჰყვეს ამ ყველაფერს, რამდენად სერიოზული საფრთხის შემცველია ამდენი რუსი ჩვენს ქვეყანაში?***

— შევხედოთ ყველაფერს წყნარად. 90 დღე შეუძლიათ აქ გაჩერება. მოქალაქეობას თუ არ მიიღებენ, ვერ დარჩებიან. ასევე მესმის შფოთვა იმასთან დაკავშირებით, რომ აგენტურა ხომ არ შემოდის. აგენტურა აქ ძალიან დიდი ხნის შემოსულია. უფრო მეტსაც ვიტყვი, აგენტურა ქართველებში ჰყავთ რუსებს ძალიან ბევრი. სრულიად არაფერში სჭირდებათ, აგენტურა ახლა შემოგზავნონ. დღეს მათ აგენტურა უკრაინაში უფრო სჭირდებათ. გადაიჭედა ქალაქი და სერიოზული საცობებია. ეს ყველას გვაწუხებს. ისე, მათგან რაიმე სერიოზული საფრთხე რომ მოდიოდეს, ამის საშიშროებას ვერ ვხედავ.

***— საკუთარ მოსახლეობას დაიცავს აქ პუტინი და, შესაძლოა, სწორედ ამის გამო დაგვარტყასო.***

— თუ გადაწყვეტს, რომ დაგვარტყას, აბსოლუტურად უმიზეზოდ შეუძლია, დაგვარტყას. რა, უკრაინას ასე უმიზეზოდ არ დაარტყა?! მეორეც, ახლა ჩვენთვის დასარტყმელად არ სცალია და მადლობა ამისთვის უკრაინას. და მესამე, პირიქით, რაც უფრო მეტი რუსი ტურისტი იქნება ჩვენს ქვეყანაში, თავად ეს ტურისტები იქცევიან მძევლებად. ეს ზღაპრები აგენტურაზე სისულელეა. აგენტურა ყველა ქვეყანაში არსებობს და აქაც არის, თუმცა ისინი გაცილებით დიდი ხნის წინ არიან შემოსული. ახლა თუ სადმე სერიოზული აგენტურა ჰყავთ რუსებს, დარწმუნებული ვარ, უკრაინაში გაუშვებდნენ. ვინც საბოტაჟი, დივერსია და მსგავსი რაღაცები იცის. სწორედ იქ სჭირდებათ მსგავსი აგენტურა. გვიყვარს ჩვენ დრამატიზება, მაგრამ ამ შემთხვევაში დრამატიზება არ არის საჭირო.

***— ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკას ატარებდა. ახლა ამდენ გამოქცეულ რუსს რომ უშვებს, ეს არ გააღიზიანებს რუსეთს?***

— თუ ასე შევხედავთ, დიახ, შემოშვებაც გაღიზიანებაა და არშემოშვებაც. დაკეტავ, რატომ დაკეტეო, შეიძლება, ამაზეც შემოგედავონ. მოკლედ, ასე მარტივად არ არის საქმე.

***— თავად რუსულ მხარეს რატომ არა აქვს მკაცრი კონტროლი საზღვარზე, ასე მარტივად რატომ უშვებენ?***

— დაკეტვით აუცილებლად დაკეტავენ. ახლა კი, ჩემი აზრით, დროს აძლევენ იმ ხალხს გასასვლელად, ვისაც შეუძლია, ქვეყნის შიგნით შფოთი მოაწყოს. როგორც ჩანს, იმათი მოშორება უნდათ თავიდან. მე ასე ვფიქრობ. შიგნით პროტესტი და არეულობა არანაირად არ აწყობთ. 140-მილიონიანი ქვეყანაა, განა რამდენი უნდა გავიდეს? ამიტომ ფიქრობენ, რომ ვინც გადის, ის არის არეულობის მომწყობი ქვეყნის შიგნით და ამიტომაც უშვებენ.

### „ოპოზიცია ყველა ხაფანგში ებმება. დაუდებს „ოცნება“, ესენიც მაშინვე გაებმებიან“

***— ამდენი აღურიცხავი ავტომობილი რომ შემოდის რუსეთიდან, ესეც ხომ კიდევ ცალკე პრობლემაა. მათ რომ კანონი დაარღვიონ, პასუხი როგორ უნდა მოეთხოვოთ?***

— რატომ გგონიათ, რომ აღურიცხავია? მე არ ვფიქრობ ასე.

***— ყველაფრის კონტროლი ხდება?***

— მე ასე ვფიქრობ. აბა რისთვის არსებობს სახელმწიფო?! მათი აღრიცხვაც უნდა ხდებოდეს წესითა და რიგით.

***— ბატონო თორნიკე, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პუტინი ჩიხში მოექცა. ეს გამოცხადებულმა მობილიზაციამაც აჩვენაო. თქვენ რას იტყვით?***

— რომ გაუჭირდა, ეს ნამდვილად ფაქტია. მას თავიდანვე ჩაეშალა გეგმა „ა“. მერე გეგმა ბე-თი მუშაობდა. ახლა ესეც ჩაეშალა და გეგმა ცე-ზე გადადის. აი, გეგმა ცე-ს შემდეგ თუ აქვს საშუალება, რომ გეგმა დე-ზე გადავიდეს, ესაა ძალიან მნიშვნელოვანი. გეგმა ცე-თი გაიყვანს ბრძოლის ველზე ძალიან ბევრს და ახლა ესაა მნიშვნელოვანი, ამ გეგმით რას იზამენ. მათი მიზანია, დაამთავრონ ომი ისე, როგორც ოდესღაც დაამთავრეს ფინეთთან – ტერიტორიის ნაწილი წაართვეს და მერე დაბრუნდნენ უკან. აი, ეს არის მათი მიზანი ამ ეტაპზე. შეძლებენ ამას? შევხედოთ, გამოჩნდება.

***— რას იტყვით ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკაზე რუსეთთან მიმართებით, რა პოლიტიკაა ეს?***

— ჩვეულებრივი გადარჩენის პოლიტიკაა, მეტი არაფერი. გადარჩენისა და არგაღიზიანების პოლიტიკა, რომელიც, ჩემთვის გაუგებარი განცხადებების გამო, იღებს უშნო სახეს. მაგალითად, გამოაცხადო ამაყად, თან რამდენჯერმე, რომ ჩვენ არ შევუერთდებით სანქციებს, ეს ჩემთვის გაუგებარია იმიტომ, რომ რეალურად ჩვენ შევუერთდით სანქციებს. მაგალითად, ფინანსურ სანქციებს საქართველო თავიდან ბოლომდე შეუერთდა.

***— მაშინ, მიზანმიმართულად რატომ იზიანებენ თავს?***

— ეს არგაღიზიანების მიზნით კეთდება, რომ გაიგონ მოსკოვშიც, არ ვუერთდებით ჩვენ სანქციებს. სინამდვილეში, ჩვენ შევუერთდით სანქციებს. უბრალოდ, ჩვენ ჩვენი სანქციები ცალკე არ დაგვიწესებია.

***— ბატონო თორნიკე, შიდა პოლიტიკურ პროცესებზე რას იტყვით? ოპოზიციაში ისეთი ამბებია, ხელისუფლება ვიღას ახსოვს. ღიად, ტელევიზიებითა და საჯაროდ უპირისპირდებიან ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ერთმანეთს. რა ხდება ამ პარტიაში?***



— ხდება შემდეგი: ჭკვიანი ხალხის გადინება პარტიიდან, რომელიც დაიწყო დიდი ხნის წინ. ახლა კი აქვთ სერიოზული ვაკუუმი შიგნით. ძალიან ბევრი ჭკვიანი ხალხი უცხოეთშია გასული, ვინც ნაცმოძრაობას მართავდა ოდესღაც. ზოგიც საქართველოშია, მაგრამ ჩამოშორდა ამ პარტიას. პლუს ამას, რაც მთავარია, ლიდერი ჰყავთ ციხეში და ეს კიდევ უფრო ართულებს მათ მდგომარეობას. ახლა შიგნით რასაც ვუყურებ, დაპირისპირება მელიასთან.

***— რატომ არ მოსწონთ მელია?***

— გარეთ რა ხმებიც გამოდის, არის ის, რომ უწუნებენ, რატომ არ არის უფრო რადიკალური. იჯდა ეს კაცი ერთხელ ციხეში და კიდევ რას სთხოვენ, საინტერესოა. კიდევ შეასკდეს შუბლით პარლამენტის კედელს და კიდევ ჩასვან ციხეში? და მერე გარედან ზღაპრებს წაუკითხავენ?! მე არ ვიცი, კიდევ რა ხდება შიგნით. ფაქტია, რომ მთლიანობაში ძალიან დასუსტდა პარტია, პირველ რიგში კი – ინტელექტუალურად. ძალიან ბევრი ჭკვიანი მმართველი დღეს ამ პარტიას ჩამოშორებულია.

***— ნიკა მელია აცხადებს, რომ ოლიგარქს სურს, ერთპიროვნულად მართოს პარტია. კეზერაშვილს მოიხსენიებს ოლიგარქად. მაშინ, რატომ ვებრძვით ოლიგარქს, თუ ერთი მეორემ უნდა შეცვალოსო.***

— აი, ეს უკვე კომიკურია, როცა ოპოზიცია, ერთი მხრივ, ებრძვის ოლიგარქ ივანიშვილს და ახლა თვითონ ოპოზიციამ შვა ახალი ნარატივი ოლიგარქ კეზერაშვილზე და ამით, პრინციპში, გადასარევი კოზირი ჩაუგდო ხელში „ქართული ოცნების“ ლიდერებს. ახლა ისინი გამოვლენ და იტყვიან, აჰა, ბატონო, ხომ ვამბობდით ჩვენ, რომ კეზერაშვილია ოლიგარქიო.

***— მაშინ, რასაც აბრალებენ მელიას, ხელისუფლების თამაშს თამაშობსო, სიმართლეა. სწორედ მან დაიწყო საუბარი კეზერაშვილია ოლიგარქობაზე.***

— ხელისუფლების თამაშს როგორ თამაშობს, კაცი ციხეში იჯდა ამდენ ხანს. ეს ჩვეულებრივი შიდა გარჩევებია. ახლა ამბობენ, კეზერაშვილი ცდილობს, ნაცმოძრაობა ჩაიგდოს ხელშიო. მელიამ თუ კეზერაშვილის კრიტიკა დაიწყო და მას უპირისპირდება, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მელია ხელისუფლების თამაშს თამაშობს. მელიას უნდა, რომ თავად მართოს პარტია. მელიაც დიდი დილემის წინაშე დგას – მართო პარტია, რომელიც სააკაშვილის რეიტინგზე დგას მთლიანად, ასე მარტივი არ არის. აქ აწყდება მელია დიდ პრობლემას, უნდა ლიდერობა, მაგრამ ნაცმოძრაობაში ნებისმიერი ლიდერობა იქნება ფიქცია, იმიტომ, რომ სინამდვილეში ამ პარტიის რეალური ლიდერი მიშაა. მიშამ კი ქართულ რეალობასთან კავშირი მაშინ გაწყვიტა, როცა უკრაინაში წავიდა. სწორედ ამიტომ დაბრუნდა უკან, მაგრამ ეს ცუდად დაუმთავრდა. დღეს დრო სერიოზულად მუშაობს ნაცმოძრაობის წინააღმდეგ.

***— კეზერაშვილს რომ გარკვეული ინტერესები აქვს, ეს არ იმალება. ელენე ხოშტარიას აღიარებაც ხომ მოვისმინეთ, რომ მას სწორედ კეზერაშვილი აფინანსებს. ამბობენ, რომ გოგაშვილის დახმარებით, რომელიც კომპრომატებს დადებდა ხელისუფლების წინააღმდეგ, უნდა აეწიათ სერიოზული საპროტესტო მუხტი და დაენიშნათ ვადამდელი არჩევნები.***

— არ არის გამორიცხული, ესეც ყოფილიყო ჩაფიქრებული, მაგრამ გოგაშვილის კომპრომატებს, ქვეყნის შიგნიდან იქნებოდა ეს თუ ქვეყნის გარედან, რა ძალა ექნებოდა, ეს სხვა ამბავია. გოგაშვილის შეთქმულების თეორიის არ მჯერა, მართალი რომ გითხრათ. არა მგონია, ამას მოჰყოლოდა რევოლუცია. ჯერჯერობით ამ რევოლუციური ხიბლიდან ვერ გამოდის ოპოზიცია.

***— იმდენად შელანძღული აქვს გოგაშვილს იმიჯი, რომ მის კომპრომატებზე ხალხი ქუჩაში არ გამოვიდოდა?***

— გოგაშვილის კომპრომატები როგორაა, იცით? რა შევუკვეთე, რა ჩამოვიდა. მეორეც, ეს ოპოზიცია ყველა ხაფანგში ებმება. დაუდებს „ოცნება“, ესენიც მაშინვე გაებმებიან.

***— მოერევიან ნიკა მელიას, გადააყენებენ?***

— მე მგონი, საქმე სწორედ აქეთკენ მიდის, თუმცა, მერე რა იქნება ამ პარტიაში, ეს გაურკვეველია. მათ ამომრჩეველზე ხომ მოქმედებს ეს ყველაფერი! ამომრჩევლის დემორალიზაცია ხდება ამით. ყველა ლიდერი მოღალატე როგორ არის!

***— თანაც წინ 2024-ის არჩევნებია. ასეთი ოპოზიცია რას შეძლებს?***

— როცა ზედიზედ აგებ 9 თუ 10 არჩევნებს, უნდა მიხვდე, რომ რაღაცას არასწორად აკეთებ. ჯერჯერობით ვერ ვხედავ, რომ გააანალიზეს საკუთარი შეცდომები. აბსოლუტურად იმავე მეთოდებით ებრძვიან „ოცნებას“, რითაც ებრძოდნენ 2012-ში! დაიღალა ხალხი ამ ერთისა და იმავეს მოსმენით.

# სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯები იზრდება



საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 21 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო ცვლილება მთავრობის დადგენილებაში, რომელიც სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების გაზრდას ეხება. კერძოდ, იზრდება ქვეყნის შიგნით სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა არსებული 15 ლარიდან 30 ლარამდე, ხოლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების ნორმები განისაზღვრება თითოეულ ქვეყანასთან მიმართებით, არსებული რეალობის გათვალისწინებით.

ცვლილების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მივლინებისას სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართობის დაქირავების ხარჯების დღევანდელ რეალობასთან მაქსიმალურად შესაბამისობა. განახლებული ნორმებით იხელმძღვანელებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორი, რომლისთვისაც ანალოგიური ნორმები დადგინდება ფინანსთა მინისტრის ბრძანებით.

# ოქტომბრიდან რუსეთი ზეთის ექსპორტზე გადასახადს ანულებს

რუსეთში მზესუმზირის ზეთისა და შროტის საექსპორტო გადასახადი ოქტომბერში ნულოვანი იქნება. ამის შესახებ ფედერაციის სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

ამჟამად ზეთზე გადასახადი ტონაზე 8.621,3 რუბლს (148 დოლარს), შროტზე კი 1.578,5 რუბლს (27 დოლარს) შეადგენს.

გადასახადების განულება საორიენტაციო ფასების შემცირებას უკავშირდება. ზეთის საორიენტაციო ფასებმა ტონაზე 1.244 დოლარი შეადგინა, რაც ერთი თვით ადრე 1.583 დოლარი იყო. ტონა შროტზე ინდიკატორულმა ფასმა ერთი თვის წინანდელი 269,3 დოლარიდან 177 დოლარამდე დაიკლო.

რუსეთში 2021 წლის 1-ლი სექტემბრიდან 2022 წლის 31 აგვისტოს პერიოდისთვის მზესუმზირის ზეთზე, ხოლო 1-ლი მაისიდან 31 აგვისტომდე შროტზე მოქნილი საექსპორტო გადასახადი შემოიღეს. ზაფხულში ფედერაციის მთავრობამ მზესუმზირის ზეთის, შროტისა და მზესუმზირის მარცვლებზე საექსპორტო გადასახადის ვადა კიდევ ერთი წლით, 2023 წლის 31 აგვისტომდე გაახანგრძლივა, ხოლო ზეთსა და შროტზე ამ გადასახადების გამოთვლა დოლარიდან რუბლებზე გადაიტანა.

დადგენილების თანახმად, რუბლებზე გადასვლის ფარგლებში, მზესუმზირის ზეთის საექსპორტო გადასახადის გაანგარიშების საბაზისო ფასმა ტონაზე, მანამდელი 1.000 დოლარის ნაცვლად, 82.500 რუბლი (1.415 დოლარი), ტონა შროტზე კი, 185 დოლარის ნაცვლად, 13.875 რუბლი (238 დოლარი) შეადგინა.

საექსპორტო გადასახადი საბაზისო და საორიენტაციო ფასებს შორის სხვაობის 70%-ს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის ზეთის მთავარი იმპორტიორი სწორედ რუსეთია. მიმდინარე წლის იანვარ-აგვისტოში ქვეყანაში შემოსული ზეთის 80%-ზე მეტი სწორედ რუსეთზე მოდიოდა. კერძოდ, 8 თვეში საქართველომ სულ 24.445 მლნ დოლარის ღირებულების (12 991 ტონა) ზეთი იყიდა, აქედან 19.272 მლნ დოლარის (10.594 ტონა) რუსეთში. მეორე ადგილზეა აზერბაიჯანი 3.090 მლნ დოლარი (1545 ტონა) და მესამეზე უკრაინა 683,7 ათასი დოლარი (387 ტონა).

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, პუტინი ყველაფერზეა წამსვლელი“

## სოსო ცინცაძე: „მოსკოვში რევოლუციას გამოვრიცხავ“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო სოსო, პუტინის გადაწყვეტილებას ნაწილობრივ მობილიზაციასთან დაკავშირებით რუსეთის ქუჩებში გამოსვლები მოჰყვა. როგორ შეიძლება, განვითარდეს მოვლენები, რამდენად არის მოსალოდნელი სერიოზული წინააღმდეგობები?***

– ასეთ წინააღმდეგობებს რუსი ხალხისგან არ ველოდები. ეს ძირითადად მორჩილი მასაა. მართალია, პროტესტი არსებობს, მაგრამ – იმ რეგიონებში, სადაც გაწვეულების ყველაზე დიდი რაოდენობა დაიღუპა. ერთ-ერთი ასეთი რეგიონი დაღესტანია. რა თქმა უნდა, მოსკოვშიც არის პროტესტი და, საერთო ჯამში, 800 ადამიანია დაკავებული, მაგრამ ეს სურათს ვერ შეცვლის. საუბარია მილიონამდე ადამიანის გაწვევაზე, რაც დაახლოებით ერთი პროცენტია. ძირითადად ეს ხალხი ბედს ეგუება და მორჩილად იღებს რეალობას.

***– მოსკოვურ რევოლუციას გამორიცხავთ? თუნდაც შიდა უკმაყოფილებას პუტინის მიმართ.***

– რაოდენ პესიმისტურადაც არ უნდა ჟღერდეს ჩემი პროგნოზი, გამოვრიცხავ. თუმცა, რეალურად უკვე დაწყებულია ფიქრი ხელისუფლების ტრანზიტზე და ამის მაგალითია პატრუშევის ჩინეთში ვიზიტი. სამი სახელმწიფო, რომელთა აზრიც არცთუ უმნიშვნელოა რუსეთისთვის, არის ჩინეთი, თურქეთი და, რაც არ უნდა ურთიერთობა გაფუჭებული ჰქონდეთ – ამერიკა. სწორედ ჩინეთში ჩავიდა პატრუშევი და ამბობენ, რომ სწორედ ხელისუფლების ტრანზიტი განიხილა.

***– კონკრეტულად რა შეიძლება ყოფილიყო განხილვის საგანი, პუტინის ჩამოცილება?***

– არაფერი გამორიცხული არ არის. თუმცა, თუ ხელისუფლება უშიშროების საბჭოს ხელში გადავიდა, მაშინ, არ გამოვრიცხავ, რომ საუბარი იყოს დენსია უპინის მართვის მოდელზე და, შეიძლება, სწორედ ეს მოდელი განიხილა ჩინეთში ვიზიტისას პატრუშევმა.

აქვე უნდა ვთქვა, რომ პუტინის პატრუშევით ჩანაცვლება ან მართვის ტრანზიტი უშიშროების საბჭოზე დამაიმედებელ სურათს არ შექმნის ვერც ჩვენთვის და ვერც დანარჩენი მსოფლიოსთვის. შეიძლება, იმდენად დიდ პრობლემას არ წარმოადგენდეს პუტინის გადაგდება, რამდენადაც ჩანაცვლება. ვისით უნდა ჩაანაცვლონ?! ზოგადად, პუტინის თვისებაა საკადრო კონსერვატიზმი. კადრებს არ ცვლის. ამის ნათელი მაგალითია თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრი ლავროვი, რომელიც შეუცვლელად არის ამ თანამდებობაზე. ეს ხალხი შეიძლება ფიქრობდეს კიდეც, რატომ აიტკიონ აუტკივარი თავი. ახალი თავსატეხი რაში სჭირდებათ. ამიტომ შიდა გადატრიალებას ნაკლებად ველოდები. თუმცა, ხელისუფლების რაღაც შეთანხმებული ერთგვარი ტრანზიტი ნამდვილად არ არის გამორიცხული.

რაც შეეხება პატრუშევს, ის ყველაზე იდეური პოლიტიკოსია დღეს რუსეთში. მისთვის პირადი ტრაგედია იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. ის კომპრომისზე არავისთან არაფერზე არ წავა. ასეთი ფუნდამენტალისტები, იდეოლოგიზირებული ხალხი ძალიან საშიშია და, მე ვიტყოდი – პუტინზე არანაკლებადაც. ამიტომ ამ მიმართულებით ძალიან რთულად დგას საკითხი.



***– ბირთვულ იარაღთან დაკავშირებით, გამოდის, აშანტაჟებს მსოფლიოს თუ მართლაც შეიძლება გამოიყენოს?***

– ეს არის ყველაზე საშიში, რადგან კუთხეში მიმწყვდეული პუტინი ყველაფერზე წავა და, რასაკვირველია, წავა ბირთვული იარაღის გამოყენებაზე. იმაზე საუბარი, რომ ვერ და არ გაბედავს, გამორიცხულია. ბოლომდე წავა, რადგან, რაც დასადები იყო, დადო, ყველაფერს ჩამოვიდა. ეს ძალიან საშიში მდგომარეობაა. უცნაური ის არის, რომ ნატომ, ამერიკამ განაცხადეს, თუ პუტინი ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ჩვენ არ ვუპასუხებთ ბირთვული იარაღითო. ეს თითქოს წაქეზებას ჰგავს. მიდი, აბა, რას იზამ?! თითქოს ცდიან პუტინს. თუ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს, მაშინ – ტაქტიკურს, რომლის მოქმედების არეალი 300-400 კმ-ია და არა სტრატეგიულს, რომლის მოქმედების არეალი 8 ათასია.

***– როგორც ვიცით, მარტო ვერ იღებს ამ გადაწყვეტილებას, რამდენიმე პირის თანხმობაა საჭირო. ტექნიკურად ასეა?***

– ერთადერთი, ვისაც ანგარიშს გაუწევს, პატრუშევია.

***– რაც შეეხება ჩვენს საზღვართან განვითარებულ მოვლენებს, როგორ ფიქრობთ, ლარსი უნდა ჩაკეტოს თუ არა ქართულმა მხარემ?***

– ბალტიისპირეთმა, ფინეთმა უკვე ჩაკეტეს და ვერცერთი რუსი საზღვარს ვერ გადაკვეთს. ორი აზრი არ არის იმაში, რომ ამ ადამიანებს თან ნაღდი ფული შემოაქვთ ქვეყანაში და ეს კარგია, მაგრამ ძალიან სახიფათო რეალობის წინაშე შეიძლება აღმოვჩნდეთ, რადგან ხუთ ქვეყანასთან დაკავშირებით, საუბარია ბალტიის ქვეყნებზე და მათ შორის საქართველოზეც, პუტინმა მიიღო განკარგულება. რუსულენოვან მოსახლეობას თუ პრობლემები შეექმნება და ამ ქვეყნებში მათი ინტერესები დაირღვევა, ისინი უნდა დაიცვან. ეს ძალიან საშიში განკარგულებაა. ამიტომ ვამბობ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, სერიოზული პოლიტიკა გვჭირდება და არ ისეთი განცხადება, როგორიც ირაკლი კობახიძემ გააკეთა – რუსებს თუ არ შემოვუშვებთ, ეს ანტისემიტიზმი იქნებაო.

---

## რუსებს ზემო ლარსზე საქართველოს საზღვრის ფეხით გადაკვეთის უფლება მისცეს



რუსებს ზემო ლარსზე საქართველოს საზღვრის ფეხით გადაკვეთის უფლება მისცეს. გავრცელებული ინფორმაციით, რეჟიმის გამარტივების გადაწყვეტილება საზღვარზე ხალხის სიმრავლემ გამოიწვია. აქამდე საზღვრის გადაკვეთა მხოლოდ მანქანით ან ველოსიპედით შეიძლებოდა.

ინფორმაცია დაადასტურეს ჩრდილოეთ ოსეთში, რუსეთის FSB-ს სასაზღვრო დეპარტამენტის პრესსამსახურში.

გარდა ამისა, გუშინ ჩრდილოეთ ოსეთის ვიცეპრემიერმა ირბეკ თომაევმა განაცხადა, რომ ერთი კვირის განმავლობაში ლარსის საგუშაგო 37.000-ზე მეტმა მანქანამ და 115.000-ზე მეტმა ადამიანმა გადაკვეთა ორივე მიმართულებით.

შეგახსენებთ, რომ რუსეთმა საქართველოს საზღვართან, ზემო ლარსის საგუშაგოზე ჯავშანტრანსპორტიორი გაგზავნა. არსებული ინფორმაციით, იმ მიზეზით, რომ ქვეყნიდან გასვლის მსურველებმა ტერიტორია საბუთების გაფორმების გარეშე არ დატოვონ.

---

## ბადრი ბასიშვილმა ენმ-ს პოლიტსაბჭო დატოვა



ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი წევრი ბადრი ბასიშვილი პარტიის პოლიტსაბჭოს ტოვებს.

როგორც ბასიშვილი ფეისბუქის პირად გვერდზე წერს, საჭიროა პარტიის წესდებაში ცვლილებები და სტრუქტურის რეორგანიზაცია.

– ძმათა შორის ომს დაემსგავსა ეს მარაზმი! ამ საყვედურებში ყველას ავიწყდება, რომ ყველა დამნაშავე ვართ, პუტინის პატიმარი მიშა რომ დღემდე ვერ დავიხსენით. ყველაზე დიდ პოლიტიკურ ორგანიზაციას აკეთილშობილებს პასუხისმგებლობა და დისციპლინა. ვტოვებ პოლიტსაბჭოს. ვაგრძელებ ბრძოლას, ვრჩები ამ დიდი ოჯახის წევრად და მჯერა, რომ დღეს ვინც სხვადასხვა აზრზე დგას, მალე ერთად მოგვიწევს ბრძოლა! პარტიის პოლიტსაბჭოში ბევრი ღირსეული წევრი და თანამებრძოლია, მაგრამ ვისურვებდი უფრო ქმედითს, მეტი გამჭვირვალობითა და დემოკრატიულად არჩეულს, – წერს ბადრი ბასიშვილი სოციალურ ქსელში.

---

## „უნდოდათ, შეექმნათ ანტურაჟი, რომ ხალხს მიშა არ აინტერესებს“



ნანუკა ჟორჟოლიანი ამბობს, რომ მიხეილ სააკაშვილის თხოვნით გასამართ აქციის საორგანიზაციო საკითხებში ლევან ხაბეიშვილიც უნდა ჩართულიყო, თუმცა, ტელეწამყვანის თქმით, ენმ-ს წევრი მოულოდნელად გაუჩინარდა და საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნით დაკავდა.

– ერთი შეხვედრა გვქონდა, რაღაცები უნდა მოგვექოქა, მეორე შეხვედრაც შედგა და ხაბე დავკარგე. ამის მერე გავაკეთე „ჩატი“, სადაც ახალგაზრდების მობილიზება უნდა მომხდარიყო, მილიონი დეტალია საჭირო, სადაც პარტიის დახმარება იყო საჭირო.

ხაბეიშვილს ვწერდი, რას ფიქრობდა, რა უნდა გაგვეკეთებინა, თუმცა ის პასუხს სამ დღეში ერთხელ გვცემდა. შემდეგ გავარკვიე, რომ ხაბეს საგამოძიებო ორგანიზაცია გაუკეთებია და ახლა აქედან ებრძვის ბიძინას, – თქვა ნანუკა ჟორჟოლიანმა.

მისი თქმით, ვერ გაარკვია, ნაციონალურ მოძრაობას უფრო არ უნდოდა, მიხეილ სააკაშვილის თემა აქტუალური ყოფილიყო თუ „ქართულ ოცნებას“.

– უნდოდათ, შეექმნათ ანტურაჟი, რომ ხალხს მიშა არ აინტერესებს და თემა ბოლომდე მოკლეს, – აცხადებს ჟორჟოლიანი.

ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილის მეგობარი ამბობს, რომ მესამე პრეზიდენტის გათავისუფლების მოთხოვნით დაგეგმილი აქციების გამართვაში ხელს ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი პეტრე ცისკარიშვილი უშლიდა.

---

## მიხეილ ყაველაშვილი: „მოვუწოდებ აშშ-ის საელჩოს“



მოძრაობა „ხალხის ძალის“ ერთ-ერთი ლიდერი მიხეილ ყაველაშვილი განცხადებას ავრცელებს.

– დღეს ამერიკის საელჩოს ერთ-ერთი ფავორიტი პარტია, „ევროპული საქართველო“, ამ პარტიის კუთვნილი მედიასაშუალება „ტაბულა“ და ამავე პარტიის კუთვნილი ენჯეო, „თავისუფლების ინსტიტუტი“, მართავენ აქციას ენგურის ხიდთან.

ამ აქციას უკვე გამოეხმაურა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება და ის შეაფასა „ამერიკის საელჩოსა და USAID-ის მიერ სტიმულირებულ პროვოკაციად, რომელიც აფხაზ საზოგადოებაში უკიდურესად უარყოფით რეაქციას იწვევს“.

გაუგებარია, რა მიზანი აქვს დღეს ენგურის ხიდთან აქციის ორგანიზებას, რომელიც საქართველოსთვის არავითარი სიკეთის მომტანი არ არის და აფხაზ საზოგადოებაში უარყოფით რეაქციას რეალურად იწვევს.

აშკარაა, რომ აქციის ორგანიზატორებს ამ შემთხვევაშიც ამოძრავებთ ერთადერთი ინტერესი – მეორე ფრონტის გახსნა. როდესაც ამ მიზანს საქართველოს ხელისუფლებასთან ვერ მიაღწიეს, ახლა ისინი უკვე ენგურის ხიდიდან აფხაზების პროვოცირებას ცდილობენ.

მოვუწოდებთ ამერიკის საელჩოს, ამჯერად მაინც გაემიჯნოს მისი ფავორიტი და მის მიერ დაფინანსებული ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ პროვოკაციას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კიდევ უფრო გამყარდება ქართველ საზოგადოებაში ისედაც ფართოდ გავრცელებული ვარაუდი, რომ მეორე ფრონტის გახსნის სურვილის უკან, რომელსაც პერიოდულად საჯაროდ ახმოვანებენ საელჩოს ფავორიტი და მის მიერ დაფინანსებული ქართველი პოლიტიკოსები, ენჯეოების ლიდერები, უცხოელი ლობისტები და უკრაინის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, სინამდვილეში სწორედ საელჩო დგას.

ჩვენ განვახორციელებთ მეორე ფრონტისკენ მიმართული ქმედებებისა და პროვოკაციების მუდმივ მონიტორინგს, რათა საზოგადოება იყოს ფხიზლად ომის საფრთხის მიმართ და არ დაუშვას საქართველოს ჩართვა სამხედრო კონფლიქტში, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველი შედეგების მომტანი იქნება, – ნათქვამია განცხადებაში.

---

## ფინანსთა მინისტრი: „არანაირი დრამატული სიტუაცია არ არის“



– შემოსავლების სამსახური მუშაობს ნამდვილად განსაკუთრებული დატვირთვის პირობებში. რა თქმა უნდა, ყველა ვხედავთ, რომ გაზრდილია ნაკადები როგორც სატვირთო მიმართულებით, ასევე ფიზიკური პირების, რომლებიც კვეთენ საქართველოს საზღვარს. სიტუაცია ექვემდებარება კონტროლს, არანაირი დრამატული სიტუაცია არ არის საზღვრის კვეთასთან დაკავშირებით, გაზრდილია როგორც შემომსვლელთა, ასევე, ქვეყნიდან გამსვლელების რაოდენობა და, შესაბამისად, მკაცრად ხდება ამ საკითხების მონიტორინგი, – ასე პასუხობს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ლაშა ხუციშვილი ინფორმაციას ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე არსებულ ვითარებასა და საქართველოში შემოსულ რუსეთის მოქალაქეების გაზრდილ მაჩვენებელზე.

---

## „ჩაახშვე საპროტესტო აქციები“ — პუტინის ბრძანება კადიროვს



პუტინმა კადიროვს დაღესტანში საპროტესტო აქციების ჩახშობა უბრძანა, – ინფორმაცია უკრაინულ მედიაში ვრცელდება.

არსებული ინფორმაციით, იჩქერიის ყოფილი პრეზიდენტის ანზორ მასხადოვის შვილმა განაცხადა, რომ კადიროვის მებრძოლთა რაზმი უკვე შექმნილია.

– მათი ამოცანა იმ დაღესტნელების დემონსტრაციული ხოცვა-ჟლეტაა, რომლებიც პუტინის მიერ გამოცხადებულ „მობილიზაციას“ ეწინააღმდეგებიან, – წერს მედია.

# „უკრაინის გამარჯვების შემდეგ ჩეჩნეთის დეოკუპაცია რამდენიმე დღეში მოხდება“

## ახმედ ზაკაევი: „ამერიკელები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსები საქართველოში კისერს წაიტეხდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**უკრაინის მხარეს მებრძოლი ჩეჩნების ბატალიონებზე, ჩეჩნეთის მომავალსა და სხვა საკითხებზე უკრაინულ მედიასთან საუბრობს ახმედ ზაკაევი. უკრაინული მედია დევნილ ყოფილ მაღალჩინოსანს იჩქერიის პრემიერად მოიხსენიებს.**



***– კიევში რამ ჩამოგიყვანათ?***

– ახლა მიმდინარეობს ახალი ბატალიონის ჩამოყალიბების პროცესი. ამ მომენტისათვის ჩვენ უკრაინაში ოფიციალურად გვყავს 4 ბატალიონი. აქედან 3 – უკრაინის შეიარაღებული ძალების უცხოელების ლეგიონის შემადგენლობაში. ერთი ბატალიონი შეიხ მანსურის სახელობის ბატალიონის მოხალისეები არიან, რომლებიც 2014 წლიდან იბრძვიან. წინა ხაზზე გავდივართ – ხარკოვში, ზაპოროჟიეში.

***– ოფიციალურ დონეზე თუ გქონდათ შეხვედრები?***

– ოფიციალურ დონეზე მუდმივი კონტაქტი გვაქვს. შესაბამისი სტრუქტურები უზრუნველყოფენ ჩემს უსაფრთხოებას.

***– დიდი ხანია, რაც ასეთი თანამშრომლობა დაიწყო?***

– ომი 24 თებერვალს დაიწყო. 26 თებერვალს ჩვენ ბრიუსელში გავმართეთ სახელმწიფო კომიტეტის სხდომა. იქ გადავწყვიტეთ, შეგვექმნა ბატალიონები უკრაინაში რუსეთის აგრესიის მოსაგერიებლად. იქვე ჩავწერეთ, რომ აუცილებელია ამ საკითხზე კონსულტაციები უკრაინის ხელმძღვანელობასთან. 28 თებერვალს პრეზიდენტმა ზელენსკიმ ხელი მოაწერა ბრძანებულებას უცხოელთა ლეგიონის ჩამოყალიბების თაობაზე. მას შემდეგ შევუდექით ნახევრად ოფიციალურ კონფიდენციალურ თანამშრომლობას თქვენი ქვეყნის ხელისუფლების სტრუქტურებთან. ეს საჭიროა იმისთვის, რომ უკრაინის შეიარაღებულ ძალებში მებრძოლ, ასევე მოხალისე ჩეჩნებს შემდეგ დაქირავებულები არ დაარქვან. ამის მწარე გამოცდილება გვაქვს. 2014 წლის შემდეგ აკავებდნენ ჩეჩნებს, რომლებიც უკრაინის მხარეს იბრძოდნენ.

***– და რუსეთში აძევებდნენ?***

– დიახ, სამწუხაროდ, იყო ასეთი შემთხვევებიც. უკრაინისა და ჩეჩნეთის სამხედრო უწყებებს შორის შეთანხმება გაფორმდა. ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები პირდაპირ გვეხება ჩეჩნებსაც და ბევრ სხვა ხალხსაც, რომლებიც რამდენიმე საუკუნეა, კოლონიალურად არიან დამოკიდებული რუსეთზე.

***– რატომ არიან ჩეჩნები არა ჩეჩნეთში, არამედ, უკრაინაში?***

– ჩვენ უკვე ვიბრძოლეთ და შევეცადეთ, გაგვეჩერებინა რუსები. ჩვენ იმ დროს ერთი ერთზე ვიდექით მონსტრის წინააღმდეგ. უფრო მეტიც – ერთი ერთზე რომ ვყოფილიყავით, შეიძლებოდა, ბრძოლა მოგვეგო კიდეც. ჩვენთან კონფლიქტში მსოფლიომ დაიკავა რუსეთის პოზიცია. ახლაც არა ვართ აბსოლუტურად დარწმუნებული, რომ, თუ საბრძოლო მოქმედებებს დავიწყებთ, ჩვენი ომი არ იქნება აღქმული რუსეთის ფედერაციის საშინაო საქმედ. რუსეთის წინააღმდეგ უთანასწორო ომს უკვე შევწირეთ ჩვენი 300 ათასი ადამიანი.

ახლა კავკასიაში მეორე ფრონტის გახსნაზე არ ვლაპარაკობთ. ეს ქმნის ასობით ათასი ადამიანის ფიზიკურად მოსპობის რისკს. ასევე, ეს რუს ოკუპანტებს მისცემს მორიგ არგუმენტს აგრესიისათვის. რუსებს შეუძლიათ იძახონ, რომ უკრაინა ხელს უწყობს სეპარატიზმს კავკასიაში.

***– ამჟამად ასეთი არგუმენტი არადამაჯერებელი იქნება.***

– ნებისმიერ შემთხვევაში გვესმის, რომ იმ მხარდაჭერას, რომელიც უკრაინას ორკებთან ბრძოლაში აქვს, ჩვენ ვერ მივიღებთ. ახლა ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, უკრაინელებთან ერთად ბოლომდე მოვუღოთ ბოლო ამ მონსტრს. თუ რუსეთი უკრაინასთან ომს წააგებს, ჩეჩნეთის დეოკუპაცია რამდენიმე დღის საქმეა.



***– თქვენი აზრით, ჩეჩნეთის მოსახლეობის რა რაოდენობა იზიარებს რუსეთისგან დამოუკიდებლობის იდეას?***

– დარწმუნებული ვარ, რომ ხალხის 90%-ზე მეტს უარი არ უთქვამს დამოუკიდებლობის იდეაზე.

***– გამოდის, რომ კადიროვის რეჟიმი მოსახლეობის 10%-ის მხარდაჭერაზე დგას?***

– ამ 10%-დანაც არ არის ყველა ლოიალური კადიროვის მიმართ.

***– როგორც ვხვდები, დასავლეთის სამყარო ემხრობა ჩეჩნეთის სუვერენიტეტის იდეას, ამასთან, არ უწევს მის ხალხს ქმედით დახმარებას ბრძოლაში რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. რატომ არის ასეთი ორსახოვანი პოზიცია?***

– უკრაინაში აგრესიამდე გვეგონა, რომ დასავლეთი შეურიგდა იმას, რომ რუსეთი აკონტროლებს მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეს. 90-იან წლებში, როცა აშშ გამოჩნდა კავკასიაში, ის ფსონს საქართველოზე დებდა. ამერიკელები დარწმუნებული იყვნენ, რომ რუსები საქართველოში კისერს წაიტეხდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა.

***– ჩეჩნეთზე რატომ არ დადეს ფსონი?***

– ჩეჩნეთი ძალიან პატარაა. რუსეთის გარდა, გვესაზღვრება საქართველო. ამერიკელებმა ფსონი დადეს უფრო მსხვილ საქართველოზე. 2008 წელმა აჩვენა, რომ საქართველო მზად არ არის, გაუწიოს წინააღმდეგობა რუსეთს.

***– რატომ უნდა გამოიწვიოს ჩვენმა გამარჯვებამ რუსეთის დაშლა?***

– რუსეთში მწიფდება უკმაყოფილება. პუტინის ომში გამოიკვეთა წაგების ტენდენცია. ამ განწყობების გაღვივებას შეიძლება მოჰყვეს სამოქალაქო ომი.

***– რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის?***

– არა. რუს შოვინისტებსა და იმათ შორის, ვინც ქვეყანას მართავს.

***– პუტინის მიერ გამოცხადებული ნაწილობრივი მობილიზაცია რას გამოიწვევს? გამოვლენ ჩეჩნეთში ადამიანები მიტინგებზე?***

– ასეთი მცდელობები იქნება. ჩვენ ჩეჩენ დედებს გავუგზავნეთ მიმართვა. პროტესტის მცდელობები უკვე იყო. არ ვფიქრობ, რომ ისინი მყისიერ შედეგს გამოიღებს, რომ ახლავე იქნება მასობრივი აქციები. დარწმუნებული ვარ, ეს ტენდენციები განვითარდება. ჩეჩნები რწმუნდებიან, რომ საოკუპაციო რეჟიმი და მისი წარმომადგენლები ჩეჩნეთში არიან ამ ხალხის მტრები.

# სესხებზე საპროცენტო განაკვეთები გაიზარდა



2022 წლის აგვისტოში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, შინამეურნეობებისთვის საპროცენტო განაკვეთი გაიზარდა მხოლოდ ლომბარდული ტიპის სესხებზე, სხვა საბანკო პროდუქტებზე კი განაკვეთები შემცირებულია.

კერძოდ, სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, გთავაზობთ, როგორია შინამეურნეობებისთვის გაცემულ სესხებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი (აგვისტოს სტატისტიკა):

იპოთეკური სესხები – 12.44% (2021 წელი – 12.18%);

ავტოსესხი – 22.74% (2021 წელი – 22,21%);

ლომბარდული სესხი – 17,80% (2021 წელი – 19,85%);

სამომხმარებლო სესხი – 18.82% (2021 წელი – 18.60%);

სამომხმარებლო სესხი – უზრუნველყოფილი – 13.65% (2021 წელი – 13,29%);

სამომხმარებლო სესხი – არაუზრუნველყოფილი – 20.46% (2021 წელი – 19.95%).

რაც შეეხება ზოგადად საპროცენტო განაკვეთებს, 2022 წლის აგვისტოში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განაკვეთები გაზრდილია 12,3%-დან 13,6%-მდე. ზრდა შეინიშნება როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე.

კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 15,7%-დან 16,2%-მდე მოიმატა. ამავე მაჩვენებლების მიხედვით, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები გაუძვირდათ იურიდიულ პირებს და განაკვეთი 12.7%-დან 13.8%-მდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირებისთვის სესხები წლიურად გაიაფდა. კერძოდ, 2021 წლის აგვისტოს მონაცემებით, ფიზიკური პირების სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 18,2%-ს, ხოლო 2022 წლის აგვისტოში – უკვე 17,7%-ს.

რაც შეეხება უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთს, ზრდა ფიქსირდება როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისთვის. კერძოდ, სებ-ის სტატისტიკით, 2022 წლის აგვისტოში უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 7,4%-ს, ერთი წლით ადრე კი ეს მაჩვენებელი 6,4% იყო. ამასთან, იურიდიული პირებისთვის განაკვეთი – 6,7%-დან 7.6-მდე, ფიზიკური პირების სესხებზე კი 5,5%-დან 6,7%-მდე გაიზარდა.

# რუსეთიდან გამოქცეულები ბინადრობის უფლებას ითხოვენ

რუსეთის მოქალაქეები საქართველოში ბინადრობის უფლებას ითხოვენ. საბუთის მისაღებად იუსტიციის სახლთან „პირველების“ კამერამ რუსეთის არაერთი მოქალაქე გადაიღო. ნაწილი ამბობს, რომ საბუთები საქართველოში ბინადრობის მოწმობის მისაღებად შეიტანა, დანარჩენები ბიზნესს არეგისტრირებენ.

ამის მიუხედავად, რუსეთის მოქალაქეები საზღვრის კვეთის დროს ამბობენ, თითქოს საქართველოში ტურისტული მიზნებით ჩამოვიდნენ. უვიზო მიმოსვლა მათ აქ ერთი წლით ყოფნის უფლებას აძლევს, თუმცა ახლა ისინი უკვე ბინადრობის უფლებასაც ითხოვენ, რაც ქვეყანაში ხანგრძლივი დროით ლეგალურად დარჩენისა და მუშაობის უფლებას აძლევთ.



– საქართველოში შვიდი თვის წინ ჩამოვედი. წამოვედი მას შემდეგ რაც, ომი დაიწყო, ეს იყო ჩემი პოზიცია. ჩვენ ჩამოვედით აქ, რომ დავრჩეთ სამი-ოთხი წლით. ახლა შევაგროვე საბუთები ბინადრობის უფლების მისაღებად. საქართველო კომფორტული ქვეყანაა ჩვენთვის. ის, რაც ხდება ახლა რუსეთში, არის კოშმარი, – ამბობს ერთ-ერთი მოქალაქე.

რუსეთის მოქალაქეები ამბობენ, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არაფერი იციან და, რომც სცოდნოდათ, ამაზე ფიქრის დრო არ აქვთ.

– მე სანკტ-პეტერბურგიდან ვარ. აქ ჩამოვედი ბიზნესის საკეთებლად. ჩემი ბიზნესი აიტი მომსახურებას უკავშირდება. ეს არის ძალიან კარგი ადგილი. მე არ მაქვს ინფორმაცია ოკუპირებული ქართული რეგიონების შესახებ. მე არ შემიძლია ამ თემაზე ლაპარაკი, არ მიფიქრია, მე სხვა საქმეები მაქვს, რომლითაც ვარ დაკავებული. თქვენ თურქეთის მიერ კვიპროსის ოკუპაციაზე ფიქრობთ? ასევე ვერ ვიფიქრებ მე. მე რომ ასეთ ამბებზე ვიყო ფოკუსირებული, სხვას ვერაფერს გავაკეთებ. ჩემი პოზიციაა, რომ აზრი არ აქვს ასეთ ამბებზე ფიქრს. ასეთი პრობლემები ყველგანაა. ნახეთ, რა ხდება აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, – ამბობს რუსეთის კიდევ ერთი მოქალაქე.

არიან ისეთებიც, რომლებიც ამბობენ, რომ ოკუპაციისადმი პროტესტს ისე გამოხატავენ, როგორც შეუძლიათ.

– მე დაქალთან ჩამოვედი სტუმრად. მე ვფიქრობ, რომ ომი არ უნდა ხდებოდეს. მე არ შემიძლია, რაიმე შევცვალო საქართველოს ოკუპაციის მხრივ, მაგრამ, მე რასაც ვაკეთებ, არ ჩავდივარ და არ ვხარჯავ ფულს აფხაზეთში. მე უკვე რვა წელია, წამოვედი რუსეთიდან, წამოვედი იმის გამო, რომ არ ვეთანხმები რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას, – ამბობს ტურისტი.

# წლის ბოლომდე ბინების ფასი კიდევ 5%-ით მოიმატებს

წლის ბოლომდე ბინების ფასები კიდევ 5%-ით გაიზრდება – ამის შესახებ „ბიზნესპალიტრის“ ეთერში სამშენებლო კომპანია „არსის“ გენერალურმა დირექტორმა ბესო ორთოიძემ განაცხადა. მისივე თქმით, ამ დროისთვის უძრავი ქონების ღირებულება 20-25%-ით უკვე გაძვირებულია.

– ჯერ კიდევ პანდემიის პერიოდში ვამბობდით, რომ პანდემიის დასრულების შემდეგ ბინებზე ფასები მოიმატებდა. კრიზისულ პერიოდს ახლავს შეჩერებული ეკონომიკა და ფასები. ამას ემატება ინფლაცია და ახლა უკვე ომი უკრაინაში, რამაც გამოიწვია სამშენებლო მასალების ფასების ზრდა, რაც საბოლოოდ ბინების ფასზეც აისახება.

ამ დროისთვის ბინების წლიური ფასების დაახლოებით 20-25%-იანი ზრდა გვაქვს, ლოკაციების მიხედვით. ჩემი პროგნოზით წლის ბოლომდე ეს მაჩვენებელი კიდევ 5%-ით გაიზრდება, ანუ ჯამურად 30%-იან ზრდას მოველით, – განაცხადა ორთოიძემ.

მისი თქმით, ფასების ზრდა უფრო მეტად გარეუბნებში შეინიშნება, სადაც ბინების ღირებულება უფრო დაბალი იყო, ხოლო ყველაზე ნაკლებად ეს პრობლემა პრემიუმ სეგმენტს შეეხო, რომლის ფასიც ისედაც მაღალი იყო.

– თუ აქამდე გარეუბნებში კვადრატულის ღირებულება 500-600 დოლარი იყო, ახლა გახდა 700-800 დოლარი. მიუხედავად ფასის ზრდისა, მოთხოვნის ნაწილი არის მზარდი. ესეც ფასის ზრდის ერთ-ერთი პირობაა, – განაცხადა ორთოიძემ.

# ერთ დღეში რუსეთიდან საქართველოში 1.890 მსუბუქი ავტომობილი შემოვიდა

ზემო ლარსის გამშვებ პუნქტთან რუსეთიდან საქართველოში შესასვლელად გუშინ, დილის 06:00 სთ-ის მდგომარეობით, 2.500 მსუბუქი ავტომობილი დაგროვდა, საიდანაც ერთ დღეში 1890 ავტომობილი იქნა გაფორმებული. ამის შესახებ ფედერაციის საბაჟო სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მონაცემებში წერია.

ამასთან, სატვირთო ავტომანქანების რაოდენობამ გამშვებ პუნქტთან ამ პერიოდისთვის 600 ერთეული შეადგინა, საიდანაც ერთ დღეში 176 ავტომობილი იქნა გაფორმებული.

ჩრდილოეთ ოსეთის საბაჟო სამსახურის მონაცემებით, ზემო ლარსის გამშვები პუნქტის გავლით რუსეთ-საქართველოს საზღვარი ორივე მიმართულებით ერთ კვირაში 37.500-ზე მეტმა მანქანამ და 115.500-მა ადამიანმა გადაკვეთა, რაც წინა საანგარიშო კვირასთან შედარებით 23,3%-ით მეტია.

სულ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე 3,5 ათასი ავტომობილი და 1,3 ათასი სატვირთო მანქანა დაგროვ-

# ირაკლი ღარიბაშვილი: „პროკურატურის სისტემის განვითარება ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენი უცვლელი პრიორიტეტია“

„ძვირფასო სტუმრებო, დიდი პატივია ჩემთვის და ჩვენ ვართ მოხარული, რომ პირველად ვმასპინძლობთ პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის წლიურ 27-ე კონფერენციას და გენერალურ შეხვედრას საქართველოში“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პროკურორთა საერთაშორისო 27-ე წლიურ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. მთავრობის მეთაურის თქმით, პროკურატურის სისტემის განვითარება ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მთავრობის უცვლელი პრიორიტეტია. პრემიერმა ირაკლი შოთაძესა და მის პროფესიონალთა გუნდს მადლობა გადაუხადა.

– მსურს განსაკუთრებით მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს – პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტს ჩოელ კიუ ვანგს, გენერალურ მდივანს ჰან მორაალს, ევროჯასტის პრეზიდენტს, ბატონ ლადისლავ ჰამრანს, გაეროს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორის მოადგილეს, ქალბატონ ნაჟატ შამემ ხანს და ძალიან ბევრი ქვეყნის პროკურატურების ხელმძღვანელებს, მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პროფესიონალებსა და მაღალი დონის ექსპერტებს მთელი მსოფლიოდან.

კონფერენციის სათაური – „გლობალური მოვლენები, რომლებმაც შეცვალეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემები“, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა რთულ, გამოწვევებით სავსე დროში გვიწევს ცხოვრება და საქმიანობა. კორონავირუსის პანდემიით განპირობებული სირთულეების, ახლა უკრაინაში ომი, ევროპის კონტინენტზე საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე საფრთხეების, ასევე ციფრულ ტრანსფორმაციასთან დაკავშირებულ დანაშაულთა, მათ შორის, კრიპტოვალუტის მეშვეობით ფულის გათეთრებისა თუ კიბერდანაშაულის მზარდი მასშტაბების პირისპირ აშკარაა, რომ დღეს მსოფლიო განახლების რთულ პროცესს გადის; უფრო სამართლიანი, დემოკრატიული, მშვიდობიანი საერთაშორისო საზოგადოების მშენებლობაში სამართალდამცავ ორგანოთა მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, იქნება ეს ეროვნულ დონეზე თუ საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში.



პროკურატურის სისტემის განვითარება ჩვენი გუნდის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენი უცვლელი პრიორიტეტია. ჩვენს დროს პროკურატურის დამოუკიდებლობა ქვეყნის უზენაესი კანონით – კონსტიტუციით იქნა აღიარებული და სრულად დამოუკიდებელ ინსტიტუციად ჩამოყალიბდა. მასშტაბური რეფორმების შედეგად საქართველოს პროკურატურა ეფექტიან, ანგარიშვალდებულ და გამჭვირვალე ინსტიტუციად ჩამოყალიბდა და, ამასთან, მუდმივად ვითარდება. მე მინდა, ჩვენს გენერალურ პროკურორს, ბატონ ირაკლი შოთაძესა და მის პროფესიონალთა გუნდს მადლობა გადავუხადო, – აღნიშნა პრემიერმა.

მისივე თქმით, ტრანსფორმაციაში უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო პარტნიორების მუდმივი თანადგომა, როგორიცაა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია. „რა თქმა უნდა, ამ ტრანსფორმაციაში უმნიშვნელოვანესია ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მუდმივი თანადგომა, თქვენი თანადგომა. განსაკუთრებით ვაფასებთ ისეთ ავტორიტეტულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობას, როგორიცაა პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია.

180-ზე მეტი ქვეყნის უწყებებთან თუ ინდივიდუალურ წევრებთან თანამშრომლობა, ერთი მხრივ, არსებითია ჩვენი პროკურატურის შემდგომი სრულყოფისათვის, განვითარებისთვის და, ამავდროულად, გვჯერა, რომ თავადაც მნიშვნელოვან როლს ვთამაშობთ სამართლიანი და დემოკრატიული მსოფლიოს მშენებლობაში. მიმდინარე კონფერენციითა და ამ დღეებში დაგეგმილი ღონისძიებებით, მათ შორის, საქართველოს პროკურატურასა და ევროკავშირის პროკურატურას შორის სამომავლო თანამშრომლობაზე შეთანხმების გაფორმებით კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ჩვენი საერთო მიზნებისაკენ. დაბოლოს, მსურს მადლობა გადავუხადო ასოციაციის აღმასრულებელ კომიტეტს მსოფლიო კონფერენციის მასპინძლად საქართველოს პროკურატურის დასახელებისთვის. ეს ჩვენთვის დიდი პატივია. ჩვენ ამას აღვიქვამთ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებისა და ინსტიტუციური განვითარების მნიშვნელოვან აღიარებად.

მადლობას ვუხდი ყველას, ვინც დიდი ძალისხმევა გასწია კონფერენციის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ჩვენი მთავრობის სახელით გპირდებით, რომ მომავალშიც ყველაფერს გავაკეთებთ პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციასთან თანამშრომლობის გასაღრმავებლად. წარმატებულ და ნაყოფიერ სამუშაო დღეებს გისურვებთ. დიდი მადლობა!“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კონფერენციის მონაწილეებს აგრეთვე სიტყვით მიმართეს გენერალურმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ და პროკურორთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა ჩოელ კიუ ვანგმა. ღონისძიებას 60 ქვეყნის 300 პროკურორი და გაეროს, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე შესაბამისი დანაყოფების წარმომადგენლები და აღნიშნულ სფეროში მომუშავე მაღალი დონის ექსპერტები ესწრებიან. ქვეყნის და საქართველოს პროკურატურის ისტორიაში თბილისი ყოველწლიურ კონფერენციას პირველად მასპინძლობს. პროკურორთა საერთაშორისო ასოციაცია (IAP) 1995 წელს დაარსდა და ასოციაციის წევრია 183 პროკურატურის ორგანო 177 ქვეყნიდან.

# სუს-ი საგანგებო განცხადებას ავრცელებს

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური თავდაცვის სამინისტროს ყოფილი სამხედრო მოსამსახურის, მიხეილ ქამხაძის პირადი საქმის მასალების, უკრაინის ქალაქ ლისიჩანსკის ტერიტორიაზე, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლების ხელში აღმოჩენის შესახებ გამოძიების შუალედურ შედეგებს ასაჯაროებს.




უწყება ამბობს, რომ რუსების ხელში აღმოჩენილ პირად საქმეს გლდანის რაიონის სამხედრო განყოფილებაში დაცულ მიხეილ ქამხაძის პირად საქმესთან კავშირი არ გააჩნია. სუს-ის განცხადებით, აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენდეს მიხეილ ქამხაძის მიერ 2016 წელს პირადად შეგროვებული დოკუმენტების კრებულს.

– 2016 წლის 14 აგვისტოს მიხეილ ქამხაძე თავდაცვის ძალებიდან ზღვრული ასაკით დაითხოვეს, მისი პირადი საქმე კი, კანონის დაცვით, საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად, ქ.თბილისის გლდანის რაიონული გამგეობის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში გადაიგზავნა. გამოძიებით დადგინდა, რომ საქმე ხელუხლებელია და გატანის ან ასლების გადაღების ფაქტი არ იკვეთება. ამასთან, მიხეილ ქამხაძის შესახებ რაიმე სახის დოკუმენტი თავდაცვის სამინისტროში არ ინახება.

ასევე დგინდება, რომ რუსული მედიასაშუალებებით გავრცელებულ ქალაქ ლისიჩანსკში აღმოჩენილ სამხედრო მოსამსახურის პირად საქმეს გლდანის რაიონის სამხედრო განყოფილებაში დაცულ მიხეილ ქამხაძის პირად საქმესთან კავშირი არ გააჩნია და აღნიშნული შესაძლოა წარმოადგენდეს მიხეილ ქამხაძის მიერ 2016 წელს პირადად შეგროვებული დოკუმენტების კრებულს, რაც მან გამოკითხვის დროს არ უარყო.

საქმის ფარგლებში მედიასაშუალებებით გავრცელებულ მასალებზე ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ გავრცელებული დოკუმენტების უმრავლესობა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურში დაცული სამხედრო მოსამსახურის პირადი საქმის შემადგენელ დოკუმენტებთან იდენტური არის, გარდა დიპლომებისა და სერტიფიკატისა, რომელიც არასაიდუმლოა და, მიხეილ ქამხაძის განცხადებით, მათი დედნები ინახება მასთან სახლში.

დამატებით დადგინდა, რომ მედიასაშუალებებით გავრცელებული მასალები შეიცავს ზოგიერთ ისეთ ცნობას და ინფორმაციას, რაც არასდროს დაფიქსირებულა მიხეილ ქამხაძის სამხედრო მოსამსახურის პირად საქმეში. კერძოდ, კადრებში გავრცელებული მიხეილ ქამხაძის ავტობიოგრაფია შეიცავს მოსამსახურის დათხოვნის შემდეგ არსებულ მონაცემებს, რასაც ადასტურებს თავად მიხეილ ქამხაძეც და განმარტავს, რომ აღნიშნული ავტობიოგრაფია მან შეადგინა თავად, სამხედრო სამსახურიდან წამოსვლის შემდგომ, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ გამორიცხავს გავრცელებული მასალების დაცულ საქმესთან კავშირს.

ამასთან, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ასევე დგინდება, რომ გავრცელებულ ვიდეომასალაში ასახული არცერთი დოკუმენტი არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას, – წერია სუს-ის განცხადებაში.

სუს-ი აცხადებს, რომ აღნიშნული კამპანია არის სახელმწიფოს წინააღმდეგ მიზანმიმართული პროვოკაცია, რომელიც პირდაპირ ემსახურება როგორც ქართული სპეცსამსახურის, ისე თავდაცვის სამინისტროს დისკრედიტაციის მცდელობას.

## 13 წლის შვილიშვილზე სექსუალური ხასიათის ქმედების ბრალდებით ბავშვის ბაბუა დააკავეს




არასრულწლოვანი ოჯახის წევრის მიმართ სექსუალური ხასიათის ქმედების ჩადენის ბრალდებით შიდა ქართლში მამაკაცი დააკავეს.

შემთხვევა შიდა ქართლის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის სოფელში მოხდა. 13 წლის მოზარდზე სექსუალური ხასიათის ქმედების ბრალდებით სამართალდამცავებმა ბავშვის პაპა, 50 წელს გადაცილებული პირი დააკავეს.

როგორც ,,ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, აღნიშნულ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 138-ე მუხლის მე-4 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სექსუალური ხასიათის ქმედებას წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან.

დაკავებულს ბრალი ოფიციალურად უკვე წარედგინა და აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა.

შვილიშვილის მიმართ სექსუალური ხასიათის ძალადობის ბრალდებით დაკავებულის ახლობლების ინფორმაციით, მამაკაცი ბრალს არ აღიარებს.

## ვინ არის ტელეწამყვანი, რომელმაც თავი მოიკლა

სოციალურ ქსელში მორიგი ტრაგიკული შემთხვევის შესახებ ვრცელდება ინფორმაცია.




– ემიგრანტი დედა მოგიკვდეს, შვილო, ზეცაში ხარ, ანგელოზო... ღმერთო, აცხოვნე და დედამისს მიეცი ძალა, რომ იცოცხლოს... იცოცხლოს... მაგრამ ის მუდამ ტკივილიანი, იარაშეუხორცებელი მოვა შენს საფლავთან და ჩამოგძახებს: ემიგრანტი დედა მოგიკვდეს, შვილო. შვილი მოუკვდა ემიგრანტ დედას და მე მოვატყუე.

დედა შვილს გლოვობს, ნეტა თუ განახავო, თითქოს შეიშალა დღეს სამყარო.

გარდაიცვალა ემიგრანტის შვილი, 33 წლის ბაჩი ბერძენიშვილი.

გლოვობს ჩემი სოფელი, გორაბერეჟოული. ჩოხატაური. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. არ მჯერა და ვერც ვერასდროს დავიჯერებ.

უფალმა სამოთხის კარი გაგიღო და შენც შენი ფიქრებითა და აუსრულებელი ოცნებებით დაადექი სასუფევლის გზას, – წერს სოციალურ ქსელში „შოთო სიხარულიძე – ქართველი ემიგრანტები“.

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, 33 წლის ბაჩი ბერძენიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. გარდაცვლილს მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი დარჩა. ბაჩი ბერძენიშვილი ტვ12-ის გადაცემა „ალავერდის“ წამყვანი იყო.

## ახალქალაქი-ნინოწმინდის გზაზე ავარიისას 62 წლის კაცი დაიღუპა

ავტოსაგზაო შემთხვევა ახალქალაქი-ნინოწმინდის დამაკავშირებელ გზაზე – სოფელ ხოსპიოსთან ერთმანეთს ორი ავტომობილი შეეჯახა. ამის შესახებ ინფორმაციას „სამხრეთის კარიბჭე“ ავრცელებს.

გამოცემის ცნობით, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა 62 წლის კაცი.

## მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას ამჯერად თურქი სპეციალისტები შეისწავლიან

მიხეილ სააკაშვილს 30 კილო აქვს დაკლებული, დაწყებულია კუნთების განლევა, ატროფია – ინფორმაციას მესამე პრეზიდენტის ოჯახი ავრცელებს. ამ ფონზე კი ჯანდაცვის სამინისტრო სამ ამერიკელ ექსპერტს ჯერ ისევ არ აძლევს ლიცენზიას, ,,ვივა მედში“ მესამე პრეზიდენტს კვლევა ჩაუტარონ.



ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე ხელისუფლების მხრიდან პროცედურების გაჭიანურების გამო იძულებული შეიქმნა, სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენის ალტერნატიული გზები ეძებოს. ამ მიზნით ის თურქეთში კომპეტენტური ნევროლოგებისა და გასტროენტეროლოგების ჯგუფთან მესამე პრეზიდენტის დიაგნოზით ჩავიდა, რომლებმაც სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და მკურნალობის პროტოკოლი გაფართოებული კონსილიუმის ფარგლებში უნდა შეისწავლონ.

მივიღე გადაწყვეტილება, თურქეთში ჩამოვიტანო სააკაშვილის დიაგნოზი. აქ შედგება კონსილიუმი და ამ ექიმებთან უნდა გავიარო კონსულტაციები, რა სჭირს ამ პიროვნებას.

მიხეილ სააკაშვილი ყოველდღე სუსტდება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა რთულდება, უჭირს გადაადგილება. ფაქტია, რომ ეს ადამიანი ხელიდან გვეცლება.

საჭიროა, სანამ ამერიკელები ჩამოვლენ, მანამ გატარდეს ღონისძიებები. – ამბობს შალვა ხაჭაპურიძე.

ჯანდაცვის სამინისტრო სამ ამერიკელ ექიმს ,,ვივა მედში“ შესვლისა და მესამე პრეზიდენტის გამოკვლევის უფლებას არ აძლევს. მეორე თვეა, რეგულირების სააგენტო არ გასცემს უცხოელ სპეციალისტებზე ლიცენზიას. პრეზიდენტი სააკაშვილი კი ელვისებური სისწრაფით კარგავს წონას, არის სუსტად, უჭირს გადაადგილება და დაწყებული აქვს კუნთების განლევა.

მიხეილ სააკაშვილისთვის ეს კვირა გადამწყვეტი იქნება – ამბობს პრეზიდენტის დედა. დაცვის მხარე მზადაა, სასამართლოს სასჯელის გადავადების თხოვნით მიმართოს. ახლა ,,ოცნებამ“ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს: სიცოცხლე შეუნარჩუნოს მესამე პრეზიდენტს, სასჯელი გადაუვადოს თუ უარი უთხრას. სააკაშვილის ოჯახი ამერიკელი ექსპერტების ჩამოყვანას ითხოვს.



პრეზიდენტის ადვოკატი ჯანდაცვის რეგულირების სააგენტოს ვადას პარასკევამდე აძლევს. თუ კახა შალიკაძე ექიმებს ლიცენზიას არ მისცემს, მაშინ მთავარ საგამოძიებო უწყებაში ადვოკატები საჩივარს შეიტანენ და სააგენტოს უფროს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, პაციენტის უფლების დარღვევასა და ადვოკატის საქმიანობაში ხელის შეშლის გამო უჩივლებენ.

5 დღეში ზუსტად 1 წელი გადის, რაც სააკაშვილს ხელბორკილები დაადეს. დატოვებენ ციხეში თუ გაუშვებენ სამკურნალოდ? – ამ კითხვას პასუხი, სავარაუდოდ, მომდევნო 10 დღეში გაეცემა.

## რუსული მედიის ინფორმაციით, დონეცკსა და ლუგანსკში ე.წ. რეფერენდუმებზე აქტივობამ 76%-ს გადააჭარბა, ზაპოროჟიეში — 51%-ს, ხერსონში კი — 50%-ს




დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკებში მიმდინარე რეფერენდუმზე ამომრჩეველთა აქტივობა სამ დღეში 76 პროცენტზე მეტი იყო, ხოლო ხერსონისა და ზაპოროჟიეს ოლქებში – 48 პროცენტს გადააჭარბა, – რუსული მედიის ინფორმაციით, ამის შესახებ „საზოგადოებრივი სადამკვირვებლო კომისიის“ წარმომადგენელმა, რუსეთის სამოქალაქო პალატის წევრმა ალექსანდრ ხოლოდოვმა განაცხადა.

– ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკაში აქტივობა 76.09 პროცენტია, დონეცკში – დღეის მდგომარეობით, სამ დღეში აქტივობა – 77.12 პროცენტი, ზაპოროჟიეს ოლქში – 51.55 პროცენტი, ხერსონში კი – 48.91 პროცენტი, – განაცხადა ხოლოდოვმა ბრიფინგზე.

მოგვიანებით, ხერსონის ოლქის „საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელმა“ მარინა ზახაროვამ განმარტა, რომ საზღვარგარეთ გახსნილ საარჩევნო უბნებზე დაფიქსირებული აქტივობის გათვალისწინებით, „კენჭისყრა“ შეიძლება ჩაითვალოს გამართულად, რადგან მთლიანმა აქტივობამ საჭირო 50 პროცენტს გადააჭარბა.

აშშ-ის ელჩმა ეუთო-ში მაიკლ კარპენტერმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ ყალბი ე.წ. რეფერენდუმები ტერიტორიის მიტაცების ლეგიტიმაციის მცდელობის მიზნით „პროპაგანდისტული ტრიუკებია“ და ხაზი გაუსვა, რომ უკრაინის იმ რეგიონებში, სადაც „რეფერენდუმები“ მიმდინარეობს, მოსახლეობას აიძულებენ, მათ შორის ზოგჯერ – იარაღის მუქარით, ხმა მისცენ ანექსიას.

– ეს არ არის ნამდვილი კენჭისყრა, – აღნიშნა კარპენტერმა და გაიმეორა, რომ შეერთებული შტატები „რეფერენდუმების“ შედეგებს არ აღიარებს.

## დიმიტრი პესკოვი: „ხელისუფლებას საზღვრების დაკეტვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია“



კრემლში აცხადებენ, რომ მობილიზაციისა და ქვეყნის დატოვების მოლოდინში მყოფი ავტომობილების გრძელი რიგების ფონზე, რუსეთის ხელისუფლებას საზღვრების დაკეტვის შესახებ გადაწყვეტილება არ მიუღია.

– მე არაფერი ვიცი ამის შესახებ. ამ დროისთვის ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის, – აღნიშნა კრემლის პრესსპიკერმა დიმიტრი პესკოვმა.

ამასთან, მისი თქმით, არსებობს შემთხვევები, როდესაც გაწვევა შეცდომით ხდება, თუმცა შეცდომები გამოსწორდება.

## რუსეთის სკოლაში თავდასხმა ამავე სკოლის მოსწავლემ განახორციელა



რუსეთში, იჟევსკის სკოლაში სროლის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 13-მდე გაიზარდა, – ინფორმაციას რუსული მედია საგამოძიებო კომიტეტზე დაყრდნობით ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, დაღუპულებს შორის 7 არასრულწლოვანია. დაღუპულია თავად თავდამსხმელიც. ამასთან, დაშავდა კიდევ 14 ბავშვი და 7 ზრდასრული.

საგამოძიებო კომიტეტში აცხადებენ, რომ დამნაშავე ამავე სკოლის კურსდამთავრებული, 1988 წელს დაბადებული პირია.

## მობილიზაციის გამო რუსეთიდან გამოქცეული მოქალაქეების ნაწილი ღამეს ყაზახეთის კინოთეატრში ათევს



რუსეთში ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ქვეყნიდან გაქცეული რუსებისთვის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ადგილი ყაზახეთია. ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს.

გამოცემა წერს, რომ ყაზახეთის სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, 20 სექტემბრიდან 23 სექტემბრამდე დასავლეთ ყაზახეთის ოლქში რუსეთის დაახლოებით 9 ათასი მოქალაქე ჩავიდა. საზღვარზე საკმაოდ გრძელი რიგებია და ყაზახეთის სასაზღვრო ქალაქებში საცხოვრებლის პოვნა ძალიან გართულებულია.

გავრცელებული ინფორმაციით, ყაზახეთში, ურალსკში მდებარე კინოთეატრ CinemaPark-ის ხელმძღვანელობამ რუსები ღამის გასათევად კინოდარბაზში მიიწვია.

– ხალხი რეალურად შეშინებული და დაბნეული იყო. მოდიოდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ ღამის გასათევ ადგილს ვერ პოულობდნენ. შევკრიბეთ ოთხი დარბაზი და ეს არის დაახლოებით 200 ადამიანი, – ციტირებს კინოთეატრის დირექტორს ადგილობრივი მედია.

## ვლადიმერ პუტინმა ევროკავშირში რუსეთის ელჩი თანამდებობიდან გაათავისუფლა




რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ევროკავშირსა და ევრატომში ვლადიმერ ჩიჟოვი თანამდებობიდან გაათავისუფლა, – ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს.

მათივე ცნობით, შესაბამისი განკარგულება იურიდიული ინფორმაციის ოფიციალურ ინტერნეტპორტალზე გამოქვეყნდა.

– გათავისუფლდეს ვლადიმერ ჩიჟოვი ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებაში რუსეთის ფედერაციის მუდმივი წარმომადგენლის თანამდებობიდან, – აღნიშნულია განკარგულებაში.

## ვლადიმერ პუტინი: „დასავლეთი რუსეთს პატივისცემით უნდა მოეპყროს“



დასავლეთი რუსეთს პატივისცემით უნდა მოეპყროს, – ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ბელარუსის პრეზიდენტ ალექსანდრე ლუკაშენკოსთან შეხვედრაზე განაცხადა.

– ჩვენ (რუსეთის ფედერაციას) პატივისცემით უნდა მოგვეპყრონ, – აღნიშნა პუტინმა, რომელმაც კომენტარი გააკეთა ბელარუსი კოლეგის სიტყვებზე, რომ „მინსკი დასავლეთს არ დაელაპარაკება მისი მხრიდან პატივისცემის გარეშე“.

ცნობისათვის, ვლადიმერ პუტინსა და ალექსანდრე ლუკაშენკოს შორის შეხვედრა სოჭში მიმდინარეობს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საკალათბურთო ნაკრები რეიტინგში დაწინაურდა




სხვადასხვა კონტინენტზე დასრულებული საკალათბურთო ჩემპიონატების შემდეგ ფიბამ ეროვნული გუნდების რეიტინგი განაახლა.

საქართველოს ნაკრებს არცთუ დასამახსოვრებელი ევროპირველობა ჰქონდა და 5 მატჩიდან 4 წააგო, მაგრამ რეიტინგში წინსვლა აქვს.

ილიას ზუროსის გუნდი 3 საფეხურით დაწინაურდა და მსოფლიოს მასშტაბით 32-ე ადგილზეა.

ათეულში კი რამდენიმე ცვლილება მოხდა: სლოვენიის ნაკრებმა რეგრესი განიცადა და 2 პოზიციით დაქვეითდა. სამაგიეროდ, იხეირა არგენტინამ, რომელმაც კონტინენტური პირველობის ფინალში ბრაზილიას აჯობა და 3 ადგილით დაწინაურდა. უცვლელი დარჩა მოწინავე სამეული.

ათეული ასე გამოიყურება: 1.აშშ (760.7 ქულა); 2.ესპანეთი (758.9); 3.ავსტრალია (741.1); 4.არგენტინა (736.1); 5.საფრანგეთი (712.9); 6.სერბეთი (711.5); 7.სლოვენია (703.5); 8.ლიეტუვა (673.7); 9.საბერძნეთი (670.8); 10.იტალია (647.6).

## თუ ონო არ არის, შეჯიბრებას ქართველი იგებს



6-13 ოქტომბერს უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი 2022 წლის ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატს უმასპინძლებს.

ძიუდოს საერთაშორისო ფედერაცია (იჯფ) მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ფავორიტების წარდგენას განაგრძობს. 73 კგ-მდე წონით კატეგორიაში კი ყურადღება ქართულ-იაპონურ დაპირისპირებაზე გაამახვილეს.

**აი, რას წერს იჯფ:**

– ოლიმპიადების შემდეგ ხშირად ხდება, რომ ტურნირს არაერთი მნიშვნელოვანი ძიუდოისტი აკლია. ამ წონით კატეგორიაში უპირველესი დანაკლისი შოჰეი ონოა, რომელიც ტოკიოს ოლიმპიადის ფინალის შემდეგ არსად გვინახავს.

ამ შემთხვევაში სცენაზე ლაშა შავდათუაშვილი გამოდის. მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც არ არის ონო, შეჯიბრებას სწორედ ქართველი იგებს. აი, თუკი ონოც საქმეშია, ლაშას ძირითადად ვერცხლის ან ბრინჯაოს დაგემოვნება უწევს. ეს ორნი ისე არიან, როგორც კოკა-კოლა და პეპსი.

დანამდვილებით ვიცით, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე ონო არ იქნება და მას სოიჩი ჰაშიმოტო შეცვლის. ის იგივე არაა, მაგრამ არც ბევრად ნაკლებია. ჰაშიმოტო მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონია, იაპონური სკოლის ჭეშმარიტი წარმომადგენელი და ერთ-ერთი ფავორიტიც, თუმცა, ისიც ნათელია, რომ ონოს არყოფნა სხვებს გაცილებით მეტ იმედს უსახავს.

მომავალ ტურნირზე საქართველოს ნაკრებს 11 წარმომადგენელი (9 კაცი და 2 ქალი) ეყოლება.

**საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები**

**კაცები:** ლუხუმ ჩხვიმიანი (60); ვაჟა მარგველაშვილი (66); ლაშა შავდათუაშვილი (73); ტატო გრიგალაშვილი (81); ლაშა ბექაური, ლუკა მაისურაძე (90); ილია სულამანიძე, ვარლამ ლიპარტელიანი (100); გურამ თუშიშვილი (+100);

**ქალები:** ეთერ ლიპარტელიანი (57); სოფიო სომხიშვილი (+78).

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

### კალეიდოსკოპი

## ციხის თანამშრომელს პატიმართან რომანი დაპატიმრებად დაუჯდა



დიდ ბრიტანეთში ციხის თანამშრომელმა ქლოი ჯონსმა რომანი გააბა პატიმარ ფილიპ კინგთან, რომელიც სასჯელს ძარცვისთვის იხდიდა და შედეგად თავად აღმოჩნდა გისოსებს მიღმა.

თავად ქალის თქმით, მას 2017 წელს შეუყვარდა პატიმარი, როდესაც ლივერპულის ციხეში დაცვის თანამშრომლად მუშაობდა. ჯონსა და კინგს შორის რომანი გაიბა.

– ხშირად ვხედავდით, ვესალმებოდით ერთმანეთს და ა.შ. – ყვება ქალი.

როდესაც კინგი ციხიდან გაიქცა, ჯონსი მას საკუთარ სახლში მალავდა და საკუთარი მანქანით სარგებლობის უფლებასაც კი აძლევდა. ამავე დროს ის კვლავაც აგრძელებდა გამოსასწორებელ დაწესებულებაში მუშაობას და საიდუმლოდ ინახავდა იმ ფაქტს, რომ გაქცეული და ძებნილი პატიმარი ჰყავდა შეფარებული.

როდესაც ეს ყოველივე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებისთვის გახდა ცნობილი, ჯონსმა და კინგმა მანქანა გაიტაცეს და მიიმალნენ. ქალი პოლიციის დევნის შემდეგ დააკავეს, თუმცა თავდაპირველად მისთვის დანაშაულის ჩადენის ბრალდება არ წაუყენებიათ. კინგი, რომელიც ასევე დააპატიმრეს, ციხეში დააბრუნეს და მის სასჯელს კიდევ 36 თვით პატიმრობა დაემატა საპატიმროდან გაქცევისთვის.

მაშინ ჯონსი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა 2018 წლის ოქტომბერში ის ისევ დააპატიმრეს. ქალმა დანაშაული აღიარა და მას 15 თვით პატიმრობა მიესაჯა.

## „საუკუნის მრავალცოლიანმა“ 43 წლის განმავლობაში 53-ჯერ იქორწინა



საუდის არაბეთის მკვიდრი 63 წლის აბუ აბდულა თავისი ცხოვრების განმავლობაში 53 ქალზე დაქორწინდა და გაშორდა.

მამაკაცის თქმით, ის ამგვარად ცდილობდა ეპოვა ისეთი ქალი, რომელიც მას სულიერ სიმშვიდეს მოუტანდა.

– როდესაც პირველად დავქორწინდი, ცოლად ერთზე მეტი ქალის მოყვანას არ ვაპირებდი, ვინაიდან თავს კომფორტულად ვგრძნობდი და შვილებიც მყავდა, – განაცხადა აბდულამ.

თუმცა, რამდენიმე წლის შემდეგ, მეუღლესთან ურთიერთობაში პრობლემები წარმოიქმნა და აბდულამ ხელმეორედ დაქორწინება გადაწყვიტა. როდესაც მის ცოლებს შორის უთანხმოება ჩამოვარდა, მან მათთან განქორწინება და სხვებზე დაქორწინება გადაწყვიტა.

აბდულა 43 წლის მანძილზე აგრძელებდა სხვადასხვა ქალებზე დაქორწინებას და განქორწინებას. მისი ცოლების უმრავლესობა საუდის არაბეთიდან იყო, თუმცა მისი აღიარებით საზღვარგარეთ მგზავრობის დროს უცხოელ ქალებზეც იქორწინა. ასეთი მრავალი დაქორწინების გამო მამაკაცს „საუკუნის მრავალცოლიანი“ შეარქვეს.

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ აბდულამ შეძლო ისეთი ცოლის პოვნა, რომელთანაც თავს ბედნიერად გრძნობს. ამჟამად ის ერთ ქალზეა დაქორწინებული და მისივე მტკიცებით, ისევ დაქორწინებას აღარ აპირებს.

## მამაკაცმა ავტომობილი ორი წლის ბავშვთან ერთად გაიტაცა




მამაკაცმა ოჯახის ავტომობილი ისე გაიტაცა, რომ მის უკანა სავარძელზე მჯდომი ორი წლის გოგონა ვერ შენიშნა.

აღნიშნული ინციდენტი დიდი ბრიტანეთის დარემის საგრაფოში მოხდა, როდესაც ბავშვის მშობლებმა მანქანა ნათესავის სახლთან გააჩერეს. სანამ ოჯახი მანქანიდან შეძენილი ნივთების ჩამოტვირთვით იყო დაკავებული, გზაზე სხვა მანქანა გამოჩნდა, იქიდან გადმოხტა უცნობი მამაკაცი, მიუჯდა ოჯახის მანქანის საჭეს და ადგილიდან დიდი სისწრაფით დაძრა. ამ დროს ავტომობილში ორი წლის გოგონა და შინაური კატა იმყოფებოდნენ.

მომხდარით გაოგნებულმა მშობლებმა პოლიცია გამოიძახეს და ინციდენტის შესახებ აცნობეს. გარკვეული დროის შემდეგ ბავშვიანი მანქანა იპოვეს. გამტაცებელმა ის დანაშაულის ჩადენის ადგილიდან დაახლოებით ხუთ კილომეტრში მიატოვა. ამ ინციდენტის შედეგად ბავშვი არ დაზარალებულა, კატა კი დაიკარგა.

ამ დროისთვის დამნაშავე მიმალვაშია. მიმდინარეობს ინციდენტის გამოძიება. ხელისუფლებამ ადგილობრივ მოსახლეობას თხოვნით მიმართა, მიაწოდონ ყველანაირი ინფორმაცია გამტაცებელზე.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# შავი ლომი ჯგუფს დამაჯერებლად ლიდერობს

**შავი ლომი (საქართველო)-ვულვზი (რუმინეთი) 43:21**

**ქუთაისი. აია არენა**

შავმა ლომმა რაგბი ევროპის სუპერთასის მესამე ტურში რუმინულ ვულვზს ორის წილ 7 ლელო გაუტანა, ბონუსით, 43:21 დაამარცხა და აღმოსავლეთ კონფერენციის სათავეში კომფორტული სხვაობით მოკალათდა.

მიმდინარე სეზონში ქართული ფრენჩაიზისთვის ეს მეორე გამარჯვება იყო, ერთი შეხვედრა კი ფრედ დასრულდა. ტრავმებთან დაკავშირებული პრობლემების მიუხედავად, რუმინელებთან შავმა ლომმა საუკეთესო თამაში აჩვენა. თუმცა იყო შეცდომებიც და სტუმრებმა ქულები სწორედ ამ შეცდომებისა და დისციპლინის პრობლემების ხარჯზე დააგროვეს.

ზედ თამაშის წინ გუნდს კაპიტანი მერაბ შარიქაძე დააკლდა, შეხვედრის დებიუტში კი ლაშა ლომიძემ ტვინის შერყევა მიიღო და ის თორნიკე კახოიძემ შეცვალა. მასპინძლებს თამაშის დასალაგებლად გარკვეული დრო დასჭირდათ. უკეთესის სურვილს ტოვებდა ფეხით გარჯა, სხვა კომპონენტებში კი ქართველები მეტოქეს ჯაბნიდნენ და შედეგი ლოგიკური დადგა.

საწყის წუთებში ვულვზი უპირატესობას ფლობდა და მიჰაი მურეშანმა ორი ჯარიმა გაიტანა. მათ შორის ერთი ჯარიმა ლუკა მატკავამ შეასრულა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. მე-17 წუთზე მასპინძლებმა პირველად შეძლეს შეტევაში თამაშის დალაგება, ხელდახელ იერიშს მეტოქის 22-ში ფორვარდების მიძალებები მოჰყვა, მერე ბურთი კვლავ ხაზზე გავიდა, აკა ტაბუცაძემ დემე თაფლაძეს ოფლოუდი ამოუგდო, რომელიც ორ მცველს შორის გაძვრა და ლელო გაიტანა. რადგან კონტაქტის არეში ჩვენი უპირატესობა გამოიკვეთა, 24-ე წუთზე შალვა მამუკაშვილმა 5-მეტრიან წყვეტილთან ჯარიმა გაითამაშა, მეორე დარტყმა სანდრო ქოიავამ განახორციელა და მცველმა მისი შეჩერება ვეღარ მოახერხა. ამჯერად მატკავამ გარდასახა.

შავი ლომი აბურთავდა, ოვალს ფრთებზე კარგად შლიდა და თითქმის ყველა ჯერზე ახერხებდა უპირატესობის ხაზის გადაკვეთას. თამაშს კარგად ამწვავებდა მირიან მოდებაძე. 32-ე წუთზე, ერთ-ერთი ასეთი შეტევისას, ტაბუცაძეს ლელოს გასატანად სანდრო თოდუა გაჰყავდა, მაგრამ დეან აკერმანმა გადაცემა ჩაჭრა, კონტრშეტევაზე ვერავინ შეაჩერა და ცენტრში გატანილ ლელოს ზუსტი გარდასახვა მოჰყვა.

მასპინძლებმა მალევე დაიბრუნეს ინიციატივა, შერკინებამ ცენტრში ჯარიმა გამოიმუშავა, მოლმა დაახლოებით 15 მეტრი თითქმის სირბილით დაფარა და შალვა მამუკაშვილის ლელო მატკავამ გარდასახა. ზედ შესვენების წინ კარის წინ დავჯარიმდით და ტაიმი მხოლოდ 3 ქულის სხვაობით მოვიგეთ – 19:16.

შესვენების შემდეგ შავმა ლომმა თამაშის ხარისხი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, ხელდახელ ბურთაობით მეტოქეს პრობლემები მრავლად შეუქმნა. დებიუტშივე მატკავამ ხაზი გაჭრა და ბურთი მიხეილ გაჩეჩილაძეს შეაყოლა, 22-ში ფორვარდების დარტყმების შემდეგ თენგიზ პერანიძემ ოვალი ხაზზე გაიტანა და ორი პასის შემდეგ ტაბუცაძემ ალამთან დაამიწა. მასპინძლებმა შეტევები გააგრძელეს, მოდებაძემ ხაზი მორიგ ჯერზე გაჭრა და რუმინელი მორაგბე ჯარიმისთვის სინბინით დაისაჯა. შავმა ლომმა შერკინება ირჩია, ვულვზი სამჯერ დაჯარიმდა და საჯარიმო ლელოთი დაისაჯა, ბურჯმა კი ყვითელი ბარათი მიიღო და მეტოქე 13 კაცის ამარა დარჩა.

62-ე წუთზე ჩვენი ნახევრიდან დაწყებული ხელდახელ შეტევა ლამაზი ლელოთი დასრულდა. კახოიძემ და გიორგი ჩხარტიშვილმა ერთმანეთის მიყოლებით გაჭრეს ხაზი, ბურთი მარცხნივ ჩათამაშდა და თოდუას ოფლოუდის შემდეგ ლუკა ივანიშვილმა მორიგი ლელო გაიტანა. 69-ე წუთზე მორიგი შეტევისას კახოიძე კარის წინ ორ მბოჭავს დაუსხლტა და ლელო ძელებშუა გაიტანა, რომელიც უკვე მიხეილ ბაბუნაშვილმა გარდასახა – 43:16.

საპასუხოდ აკერმანმა ხელით შეტევისას კიდევ ერთხელ ჩაჭრა გადაცემა და 80-მეტრიანი კონტრშეტევა ლელოთი დაასრულა, მაგრამ ამით შავი ლომის ბონუსს საფრთხე არ დამუქრებია – 43:21.

ჩვენი გუნდი სამი თამაშიდან 12 ქულით პირველ ადგილზეა და 6-ით უსწრებს თელავის ჰითს. 5 ქულა აქვს ვულვზს, რომელსაც მხოლოდ ქულით ჩამორჩება ბათუმი.

რაგბი ევროპის სუპერთასზე ახლა სამკვირიანი შესვენებაა და შეხვედრები 15 ოქტომბერს განახლდება.

## შედეგები

**25 სექტემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ერთა ლიგა**

**ა დივიზიონი**

ავსტრია-ხორვატია ........................ 1:3
დანია-საფრანგეთი ........................ 2:0
ნიდერლანდები-ბელგია ................ 1:0
უელსი-პოლონეთი ........................ 0:1

**ც დივიზიონი**

აზერბაიჯანი-ყაზახეთი ................ 3:0
სლოვაკეთი-ბელარუსი ................ 1:1
ლუქსემბურგი-ლიეტუვა ................ 1:0
ფარერები-თურქეთი .................... 2:1

**დ დივიზიონი**

ანდორა-ლატვია ........................ 1:1
მოლდოვა-ლიხტენშტეინი ............ 2:0

**ამხანაგური მატჩები**

კოლუმბია-გვატემალა .................. 4:1
მექსიკა-პერუ .............................. 1:0
ა.ზელანდია-ავსტრალია .............. 0:2
ნიგერი-ლიბერია ........................ 0:0

**ამხანაგური მატჩი (21)**

შოტლანდია-ჩრ.ირლანდია .......... 1:1

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბურგოსი-ლევანტე ........................ 0:0
ლუგო-ოვიედო ............................ 0:0
ალბასეტე-ანდორა ........................ 1:1
ეიბარი-რასინგი .......................... 2:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

მინაი-ლვოვი .............................. 0:1

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნაწლავს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

# ყაზბეგი, აია და ლელო წაუგებლები არიან

**ყაზბეგი-ხვამლი 33:13**

სტეფანწმინდის ყაზბეგმა დიდი 10-ის მიმდინარე სეზონში ზედიზედ მესამე გამარჯვება იზეიმა. სტეფანწმინდელები მესამე ტურში ხვამლს გორში დაუხვდნენ და, მიუხედავად იმისა, რომ ტაიმი 0:13 წააგეს, საბოლოოდ 33:13 იმარჯვეს. მასპინძლებმა ბონუს-ქულაც აიღეს და სატურნირო ცხრილს ლიდერობენ.



გორში შეკრებილმა მაყურებელმა ეპიზოდებში კარგი ხელდახელ შეტევები იხილა. პირველ ტაიმში ხვამლის ლელო საკუთარი ნახევრიდან ხელით წამოწყებულ კონტრშეტევას მოჰყვა. ცენტრის გადალახვის შემდეგ კი ფეხით ითამაშეს, მცველებმა ბურთი ვერ აიღეს და ლაშა კაკაურიძემ დაამიწა. ზურა ქობელაშვილმა, გარდასახვის გარდა, 3 ცდიდან 2 ჯარიმაც გაიტანა – 0:13.

მეორე ტაიმში ყაზბეგი სრულ უპირატესობას დაეუფლა და ზურგქარში 5 უპასუხო ლელო გაიტანა: გელა მახარაშვილმა, გიორგი შუკაკიძემ, ოთარ ტალახაძემ და ნოშრე ფაფიაშვილმა გუნდს გამარჯვება დაუბევეს.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გუგუა ხულელიძე გახდა.

**აია-ხარები 27:26**

ქუთაისის აიამ პირველ ტაიმში მოპოვებული უპირატესობა შეინარჩუნა, დიდი 10-ის მესამე ტურში რუსთავის ხარები 27:26 დაამარცხა და მეორე ადგილზეა.

ყაზბეგთან და თბილისის ლელო-სარასენსთან ერთად, აია მიმდინარე ჩემპიონატში მესამე დაუმარცხებელი გუნდია. ხარებს მცირედი მარცხისთვის ნუგეშის ქულა ერგო და ჯამში 5 ქულით მე-7 პოზიციაზეა.

აია არენაზე მასპინძლები საწყის 25 წუთში დიდ უპირატესობას ფლობდნენ და სოლიდური, 24-ქულიანი უპირატესობაც მოიპოვეს, მაგრამ მერე მათი თამაში აირია, ხარები ინიციატივას დაეუფლა და გამარჯვებამდეც სულ ცოტა დააკლდა.

პირველივე ტაიმში სტუმრებმა ორი ლელო გაქვითეს, მაგრამ ერთი ჯარიმაც გაუშვეს და ტაიმი 27:14 დასრულდა.

მეორე ტაიმი ხარების იერიშებით დაიწყო, 43-ე წუთზე დერეფნიდან აგორებულ მოლში სანდრო ილურიძეც ჩაერთო და ჩამორჩენა კიდევ უფრო შემცირდა, პეტრიაშვილის გარდასახვამ კი სტუმრები ერთი გარდასახული ლელოს ფარგლებში შეიყვანა. 58-ე წუთზე გიორგი ნათელაშვილმა ჯარიმა სწრაფად გაითამაშა, თამაში რაქში გადავიდა, ბურთი მღებრიშვილმა აიტაცა და საკუთარი გუნდის მეოთხე ლელო გაიტანა. პეტრიაშვილს გარდასახვა გაუცუდდა და, როგორც შემდგომში გაირკვა, ეს გადამწყვეტი აღმოჩნდა.

დარჩენილ დროში ორივე გუნდს ჰქონდა შეტევების მცდელობები, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა – 27:26 იმარჯვა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე ზვიად ორმოცაძე გახდა.

**არესი-ბათუმი 43:19**

ქუთაისის არესმა დიდი 10-ის მესამე ტურში ბათუმს ბონუსით, 43:19 სძლია და სატურნირო ცხრილში 10 ქულით მესამე ადგილამდე აღზევდა.

ბათუმელები გასული სეზონის ჩემპიონები კი არიან, მაგრამ პარალელურად რაგბი ევროპის სუპერთასზე გამოდიან, საქართველოს რაგბის კავშირი კი მათთვის ეროვნული ჩემპიონატის თამაშების გადადებას არ აპირებს. შედეგად, ზღვისპირელები მეორე გუნდით თამაშობენ და შედეგიც სახეზეა.

**აკადემია-ლელო 13:28**

დედაქალაქურ დერბიში ლელომ რაგბი პლატოზე აკადემიას 28:13 სძლია და გასულ ტურში ნათამაშები ფრის შემდეგ დიდი 10-ის მიმდინარე გათამაშებაში მეორე გამარჯვება მოიპოვა.

დაუმარცხებელი ლელო 10 ქულით სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა და მხოლოდ იმის გამო, რომ პრემიალური ქულების აღება უჭირთ, ხოლო აკადემია სამი ტურის შემდეგ კვლავაც უქულოდაა.

პირველი ტაიმი ლელომ 21:3 მოიგო, მაგრამ მეორის დასაწყისში ორი მორაგბე გაუსინბინეს და რამაზ მაზმიშვილმა ერთი ლელო გაქვითა. „მხატვრებმა“ შეტევები კი გააგრძელეს, მაგრამ ლელომ კარგად დაიცვა თავი და, შემადგენლობა რომ შეივსო, მოლი ნიკა ბაბუნაშვილის ლელოთი დასრულდა. ყიასაშვილმა გარდასახვით უპირატესობა 20 ქულამდე გაზარდა.

შეხვედრის ბოლოს ლელო კიდევ ერთხელ დარჩა 13 კაცის ამარა. ერთმანეთის მიყოლებით ჯერ ბექა მამუკაშვილმა მიიღო ყვითელი ბარათი, მერე ლუკა კოროშინაძემ – წითელი. აკადემიამ ისევ მოლი ააგორა, რასაც ვანო ბერიკაშვილის ლელო მოჰყვა, რითაც სტუმრებმა ბონუსი-ქულა დაკარგეს – 13:28.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე გიგა გრიგალაშვილი გახდა.

**ლოკომოტივი-ყოჩები 18:32**

ბოლნისის ყოჩებმა თბილისის ლოკომოტივს რაგბი პლატოზე უმასპინძლა და 32:18 სძლია.

შეხვედრა ნიკა რეხვიაშვილის ბენეფისად იქცა. მან სამი ლელო გაიტანა, მეოთხე კი მის წამოწყებულ შეტევას მოჰყვა. მიმდინარე სეზონში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ერთმა მორაგბემ სამი ლელოს გატანა მოახერხა. ყოჩები 9 ქულით მე-4 ადგილზეა, ლოკომოტივს კი ჯერჯერობით მოგება არ აქვს და 1 ქულით ბოლოსწინა, მე-9 პოზიციაზეა.

ცხადია, მატჩის საუკეთესო მოთამაშე ნიკა რეხვიაშვილი გახდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ყაზბეგი | 3 | 3 | 0 | 0 | 84-48 | 13 |
| 2.აია | 3 | 2 | 1 | 0 | 88-59 | 11 |
| 3.არესი | 3 | 2 | 0 | 1 | 94-62 | 10 |
| 4.ლელო | 3 | 2 | 1 | 0 | 82-62 | 10 |
| 5.ყოჩები | 3 | 2 | 0 | 1 | 79-50 | 9 |
| 6.ხვამლი | 3 | 1 | 0 | 2 | 69-71 | 6 |
| 7.ხარები | 3 | 1 | 0 | 2 | 64-77 | 5 |
| 8.ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 59-91 | 4 |
| 9.ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 3 | 55-87 | 1 |
| 10.აკადემია | 3 | 0 | 0 | 3 | 38-105 | 0 |

# ნიდერლანდები და ხორვატია ერთა ლიგის ნახევარფინალში გავიდნენ

ერთა ლიგის ა დივიზიონის ორ ჯგუფში ასპარეზობა დასრულდა. შესაბამისად, ოთხთა ფინალის ორი მონაწილე გაირკვა.

პირველ ჯგუფში ხორვატიის ნაკრებმა შანსი გამოიყენა და ავსტრიელებს ვენაში ბოლოსკენ მოუგო – 3:1. ხორვატებმა ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავეს და დანიის ნაკრებს აჯობეს, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონ და ერთა ლიგის ჯერ კიდევ მოქმედ გამარჯვებულ საფრანგეთს 2:0 მოუგო, მაგრამ მეორე ადგილზე მეტს ვერ შესწვდა.

საფრანგეთმა კი ერთა ლიგა ძალიან ცუდად ჩაატარა – 1 მოგება, 2 ფრე, 3 წაგება, 5 ქულა და ჯგუფში მესამე ადგილი. მეტიც, ფრანგები ბ დივიზიონში გავარდნას ბეწვზე გადაურჩნენ და ეს იმის დამსახურებაა, რომ წინა ტურში ავსტრიას მოუგეს, რომელსაც ერთი ქულით აჯობეს.

მეოთხე ჯგუფი ნიდერლანდებმა მოიგო, ამასთან – ადვილად. ლუის ვან გაალის გუნდი შინ უშუალო კონკურენტ ბელგიას დაუხვდა, 1:0 დაამარცხა და 6 ქულით გაუსწრო.

ამ ჯგუფში ბოლო ადგილი უელსმა დაიკავა 1 ქულით, რომელიც შინ პოლონეთთან დამარცხდა.

ამრიგად, ხორვატია და ნიდერლანდები ოთხთა ფინალში არიან. გასარკვევი კიდევ ორი მონაწილეა და ბოლო ტურში ურთიერთმატჩებში გაირკვევა: უნგრეთი ან იტალია (უნგრელებს ფრეც აწყობთ, იტალიელებს – მხოლოდ მოგება) და ესპანეთი ან პორტუგალია (ესპანელებს მოგება უნდათ, პორტუგალიელებს ქულაც ეყოფათ).

ბ დივიზიონში, სადაც მომდევნო სეზონში საქართველო ითამაშებს, უელსისა და ავსტრიის გარდა, ინგლისიც გავარდა. ჩვენი მომავალი სავარაუდო კიდევ ერთი მეტოქის ვინაობა ჩეხეთისა და შვეიცარიის მატჩში გაირკვევა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში; 2. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი; 3. პატარა საოქრომჭედლო ყალიბი; 4. იტალიელი მესტამბე, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის შემდგენელი და გამომცემელი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 7. ქართველი სპორტული ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 11. საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი; 12. ამერიკელი მულტიპლიკატორი; 13. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 14. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 15. ბადრიჯნით, პამიდვრით მომზადებული ცხვრის წვნიანი კერძი; 17. გვარის, თემის მეთაური სვანეთში; 19. ღამის ფრინველი.

**თარაზულად:** 5. რაიონული ცენტრი იმერეთში; 6. ავტორისეული შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 8. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია; 9. მუსიკოსის, მომღერლის სახელწოდება შუა აზიაში; 10. ძალზე მტკიცე მინერალი, ძვირფასი ქვა; 11. გემის მზარეული; 13. შვედი კინორეჟისორი; 14. ხურდა ფული აშშ-ში; 16. იორდანიის დედაქალაქი; 18. პოემა „სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟი; 20. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტოს დამფუძნებელი ინგლისელი მაგნატი; 21. ცხელი ქარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რადონი; 2. გაზელი; 3. დვირი; 5. ბობი; 6. ჩაროზი; 8. ჰიტროუ; 11. პრიმადონა; 13. ბრეგეტი; 14. კაზუარი; 15. მაკბეტი; 19. გოია.

**თარაზულად:** 1. რეტროგრადი; 4. დამბაჩა; 7. დარბაზი; 9. რატიანი; 10. ოპელი; 12. აერობუსი; 16. ფუფუნება; 17. ბექაური; 18. ცუგცვანგი; 20. ნუსხური; 21. ნივა; 22. მირზაანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მზიური; 2. ელგუჯა; 3. აფინაჟი; 4. ჰიპნოსი; 5. მაყვალი; 7. ვაჩნაძე; 11. ჩაქვი; 12. ფიასკო; 13. ვოლიერი; 14. ფლუგერი; 15. საჰარა; 17. რუტერი; 19. ჰოკუ.

**თარაზულად:** 5. მენზულა; 6. ხარფუხი; 8. დაჩი; 9. ტანგო; 10. აფრიკა; 11. ჩოხა; 13. ვერმონტი; 14. ფუქსი; 16. კროსი; 18. იბიცა; 20. რაშკული; 21. რეპრიზა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.8344

ევრო — 2.7352

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0433

100 რუსული რუბლი — 4.8662

## ამინდის პროგნოზი 27 სექტემბრისთვის




## რონალდ არაუხომ, შესაძლოა, 2 თვე გამოტოვოს



ბარსელონის ურუგვაელმა მცველმა რონალდ არაუხომ, შესაძლოა, 2 თვე გამოტოვოს, რადგან მან ნაკრების შეხვედრაში საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო. არაუხოს ბარძაყის ტრავმა აწუხებს, რომელიც ადრეც ჰქონდა და რომლის გამო ოპერაციაც გაიკეთა. როგორც ჩანს, ტრავმამ ისევ შეახსენა თავი და არაუხო, სავარაუდოდ, მოედანზე ნოემბრის ბოლოსკენ დაბრუნდება.

## იურგენ კლოპი: „ფეხბურთელებს ზედმეტად გადატვირთული გრაფიკი აქვთ“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ ფეხბურთელებს გადატვირთული გრაფიკი აქვთ, რის გამოც ისინი იღლებიან და ხშირი ტრავმებიც სწორედ ამის ბრალია: „არ მესმის, როგორ შეუძლიათ საფეხბურთო ფედერაციებს ასეთი გრაფიკის დანიშვნა, მაგრამ ფაქტია, რომ ფეხბურთელები ამის გამო ზარალდებიან. მინდა, რამე შეიცვალოს და ფიფამ ამაზე უნდა იფიქროს“.

## მესი: „ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი მაქვს“



პსჟ-სა და არგენტინის ნაკრების ფორვარდმა ლიონელ მესიმ განაცხადა, რომ ბოლო წლებში ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი აქვს და გრძნობს, რომ კარგ ფორმაშია, თუმცა სეზონის ბოლომდე ჯერ კიდევ შორია: „ძალიან კმაყოფილი ვარ სეზონის დასაწყისით, მაგრამ მინდა, რომ ასე გაგრძელდეს. თავს კარგად ვგრძნობ და ყველა გამოწვევისთვის მზად ვარ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კინოს სახლში „კახეთის მატარებლის“ ჩვენება მიშა გომიაშვილს მიეძღვნა



საქართველოს კინოაკადემიამ ლურჯ კინოდარბაზში ქართველი კინორეჟისორის, ლალი კიკნაველიძის მხატვრული ფილმის „კახეთის მატარებლის“ ჩვენება მოაწყო.

ფილმში მთავარ როლს ქართული კინოსა და თეატრის გამორჩეულად ნიჭიერი მსახიობი მიშა გომიაშვილი ასრულებს. ამ ფილმში შესრულებული როლისთვის მიშა გომიაშვილს მიღებული აქვს მესტიის მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების პირველი საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზი – მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. ფილმი ნაჩვენები იყო მრავალ საერთაშორისო კინოფესტივალზე. სცენარი შექმნილია არჩილ ქიქოძის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. სცენარის ავტორები ლალი კიკნაველიძე, არჩილ ქიქოძე და მიხო მოსულიშვილი არიან.

ფილმ „კახეთის მატარებლის“ ჩვენება მიშა გომიაშვილის ხსოვნას მიეძღვნა, რომელიც 61 წლის ასაკში რამდენიმე დღის წინ გარდაიცვალა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## ასტროპროგნოზი

27 სექტემბრისთვის



**ვერძი** – ფუჭი საუბრები, არასაჭირო ურთიერთობები უსიამოვნებას შეგამთხვევთ. კრიტიკული დღეა. საყიდლებზე წასასვლელად სხვა დრო შეარჩიეთ. **კურო** – ფინანსებს გაუფრთხილდით. ფული ეკონომიურად ხარჯეთ. გარისკვა გაუმართლებელია. **ტყუპები** – მიღებულ შემოთავაზებას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. მეგობრებთან ურთიერთობა გაგახალისებთ. **კირჩხიბი** – ოცნება აგისრულდებათ. საქმიანი შეხვედრები სასურველ შედეგს არ გამოიღებს. **ლომი** – დღის ნეგატიურ ტენდენციებს თქვენი სითამამე და აქტიურობა გააქარწყლებს. ერიდეთ კონფლიქტს კოლეგებთან. **ქალწული** – ემოციები აკონტროლეთ. მოთმინება და თავშეკავება უსიამოვნებას თავიდან აგაცილებთ. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა სოციალური კონტაქტებისათვის. პირად ცხოვრებაში ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები ჭარბობს. **ღრიანკალი** – საქმიანი ურთიერთობები არ გაამართლებს. გუნებაგანწყობა ხშირად გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – კომერციულ სფეროში არ იაქტიუროთ. კარგი იქნება დასვენება და გართობა უახლოესი მეგობრების წრეში. **თხის რქა** – ახალგაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობისას იფრთხილეთ. ამბიციურობა და კატეგორიულობა დღეს დაგაზარალებთ. **მერწყული** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ზომიერება დაიცავით ნებისმიერი საქმიანობისას. სერიოზულ გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. **თევზები** – რეალობა ადეკვატურად მიიღეთ. ილუზიებისაგან საჩქაროდ გათავისუფლდით. ჯანმრთელობას მეტი ყურადღებით მოეკიდეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## იუმორი

სააავადმყოფოს ტელეფონი რეკავს და მამაკაცის ხმა კითხულობს:

– დილა მშვიდობისა, შეგიძლიათ მითხრათ მეექვსე პალატაში მწოლიარე ბრეგვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ?

– ერთი წუთით, მის ანკეტას ვნახავ, – უპასუხა მორიგე მედდამ, – ... აი, ვიპოვე, მოტეხილობა კარგად ხორცდება, ზეგ თაბაშირს მოვხსნით, ხოლო პარასკევს – ნაკერებს.

– ოპერაციის შემდგომი დაკვირვების აუცილებლობა თუ არსებობს?

– დიახ, ორი-სამი კვირის განმავლობაში ულტრაბგერითი პროცედურები იქნება საჭირო.

– და საავადმყოფოდან როდის გაწერენ?

– ამ პარასკევს და თქვენ ვინ ხართ მისი, ნათესავი?

– არა, მე თვითონ ვარ ბრეგვაძე, მაგრამ ამ საავადმყოფოში არავინ არაფერს მეუბნება!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგონი, დიდი ხანია, თეთრ რაშზე ამხედრებულ პრინცს ელოდებით?

– დიახ.

– ჰოდა, აი, მეც მოვედი.

– მაგარია და პრინცი სად არის?

•••

ექიმი მამაკაცს სინჯავს და თავს უკმაყოფილოდ აქნევს. პაციენტი ეკითხება:

– ექიმო, რა მჭირს?

– ჰოო...

– რა ჰოო, ექიმო, განკურნება შეიძლება?

– რა გითხრათ? ოპერაცია უნდა გაიკეთოთ, მაგრამ, ახლავე უნდა გითხრათ, ძალიან, ძალიან რთული ოპერაცია იქნება, უმძიმესი.

– და ოპერაციის შემდეგ ვიცოცხლებ?

– ასეთი ოპერაციის შემდეგ თუ იცოცხლებ? დიახ, ალბათ, მაგრამ, გულახდილად გეტყვით, არ გირჩევთ...

•••

ორი სომეხი რესტორანში გვერდით მაგიდასთან მსხდომ გოგონებს თვალს არ აშორებს. ბოლოს ერთი მეორეს ეუბნება:

– ხომ არ გაგვეცნო?

– ჯერ არა.

– რატომ?

– ჯერ შეკვეთის ფული გადაიხადონ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## საბა საფარელი: „საქართველოში ნიჭი საერთოდ არ ფასდება“



ამ განცხადების ავტორი, ქუჩის მუსიკოსი საბა საფარელი, წლებია, სიმღერით ირჩენს თავს:

– არ მომერიდება თქმა, ხმამაღლა ვამბობ – საქართველოში ნიჭი საერთოდ არ ფასდება, არც შრომა!

რამდენი დღეა უკვე, მე აღარ ვუკრავ. ვერაფრით ვაიძულე თავი, გავიდე ქუჩაში დასაკრავად, სადაც ცარიელი ადგილივით ვარ.

## ყაზახეთში საქართველო დააჯილდოვეს



ყაზახეთში, აქტაუში, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი ჩატარდა, სადაც საქართველო დააჯილდოვეს.

**ლაშა ჩხარტიშვილი, თეატრმცოდნე:**

– მინდოდა, ჩემგან გაგეგოთ ქართული თეატრის წარმატების შესახებ:

დასრულდა აქტაუში მეორე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, რომელშიც 6 ქვეყანა 13 სპექტაკლით მონაწილეობდა. სულ 4 ნომინაცია იყო – არ გეგონოთ, ყველას რაღაც ჩამოურიგეს.

ქალის როლის საუკეთესო შემსრულებლად დასახელდა ბათუმის თეატრის მსახიობი ანანო იაშვილი ირინეს როლის შესრულებისთვის საბა ასლამაზიშვილის სპექტაკლში „ირინეს ბედნიერება“, რომელიც მესხეთის თეატრის სცენაზე დაიდგა.

ვულოცავ ანანოს, საბას, მესხეთის თეატრს ამ წარმატებას.

გაუმარჯოს ყაზახეთს! გაუმარჯოს საქართველოს! გაუმარჯოს თეატრს!

**ანანო იაშვილი, მსახიობი:**

– ნომინაცია საუკეთესო მსახიობი ქალი – არ ვიცი, ასეთ დროს რით უნდა დავიწყო. ცოტა არ იყოს, არ მჯერა. პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა საბა ასლამაზიშვილს. მადლობა, რომ მე მხვდა პატივი, მეთამაშა ირინე, მადლობა, რომ მენდე, მადლობა, რომ ბოლომდე ჩემ გვერდით იყავი და ხარ, მადლობა ამ როლისთვის, რომელიც მთელი ცხოვრება განსაკუთრებული იქნება ჩემთვის და მადლობა ჩვენი მეგობრობისთვის! მადლობა მესხეთის თეატრს, რომ ასე მიმიღეთ და უდიდესი სიყვარული მაჩუქეთ! განსაკუთრებული მადლობა არაჩვეულებრივ არტისტებს. ეს ჩვენი საერთო გამარჯვებაა. მადლობა ჩემს უნიჭიერეს პარტნიორებს.

მადლობა ქალბატონ ლია სულუაშვილს ყველაფრისთვის!

მადლობა ლაშა ჩხარტიშვილს გვერდში დგომისთვის.

ვინმე თუ გამომრჩა, ბოდიშს გიხდით, ძალიან დაბნეული ვარ.

## ლაშა მარგიანი: „ჩემს წიგნს გამომცემლობის გარეშე ვბეჭდავ“



პოეტი ლაშა მარგიანი სულ მალე მკითხველს საკუთარი ლექსების კრებულს შესთავაზებს:

– ძალიან ბევრი ფიქრის, ბარიერის, წვალების, გამომცემლობიდან გამომცემლობაში სიარულის, უარყოფითი პასუხებისა და ნერვების წყვეტის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ჩემს წიგნს გამომცემლობის გარეშე ვბეჭდავ.

ეს უკვე აღარ შეიცვლება.

მინდა, ყველა გამომცემლობას ვუთხრა, სადაც მივედი და არ მიმიღეს, რომ აბსოლუტურად არანაირი საერთო არ გაქვთ თქვენ ლიტერატურასთან, პოეზიასთან, სულთან, ჩვეულებრივი ვაჭრები ხართ და ერთადერთი, რასაც უყურებთ და რაც თქვენთვის ნებისმიერ ღირებულებაზე მაღლა დგას, არის ფული, რაც შეიძლება მეტი ფული.

პოეზიას არ ყიდულობს ხალხიო, გენიალური ლექსები გაქვს, მაგრამ გვაპატიეო, მომგებიანი საქმე არ არის ფინანსური კუთხითო.

ასე მითხრეს ერთგან, ორგან, სამგან – ყველგან.

თუ აქ ერთ სიტყვას ვამატებდე, მაგ სიმართლით გამიმარჯოს ღმერთმა ცხოვრების გზაზე.

ერთ ლექსში მე თვითონ მიწერია, რომ მსოფლიო მიექანება იქითკენ, სადაც აღარავის დასჭირდება ღმერთი და პოეზია, მაგრამ, ნაღდად ვერ ვიფიქრებდი, ეს „პოეტების სამშობლო“ საქართველოც თუ უკვე მაგ გზაზე იდგა.

ერთადერთი, ვისიც ბოლომდე მჯერა, ვინც, მჯერა, რომ არ მიმატოვებს შუა გზაზე და ბოლომდე გამომყვება, ჩემი მკითხველია.

მჯერა იმის, რომ გამომცემლობების სიტყვებს მტვრად აქცევენ. ჰო, ყველა მათ სიტყვას აქცევენ მტვრად და წიგნის მაღაზიის თაროებზე კი არ დატოვებენ ჩემს წიგნს ვადაგასული პროდუქტივით, არამედ საკუთარ სახლებსა და ოთახებში დაადებინებენ ბინას, საკუთარ სულსა და გულში.

სხვა პასუხი მე არ მაქვს, ეს იქნება ერთადერთი პასუხი ჩემგან გამომცემლობების მიმართ.

არც იმას დავწერ, შინაგანად როგორ ვარ, როგორ ვგრძნობ თავს და ა.შ.

მხოლოდ ჰემინგუეის სიტყვები მიტრიალებს თავში, რომ ცხოვრება იქნება თუ სხვა რამე, შეიძლება, გაგანადგუროს, მაგრამ ვერ გაჯობოს, ვერ დაგამარცხოს.

ცოცხალი ვარ, მკერდში გული ჯერ არ ჩამკვდომია და მხოლოდ ახლაღა მივხვდი, ვიგრძენი, გავიაზრე, რას ნიშნავს, როცა შენი ლექსები და ცხოვრება გაჭრილი ვაშლივით ჰგავს ერთმანეთს.

რატომაა ეს ლექსები ასეთი ნამდვილი და ხელშესახები, რატომ პოულობთ მასში საკუთარ თავს, საკუთარ ფიქრებს?

იმიტომ, რომ ისე ვცხოვრობ, როგორც ვწერ.

პ.ს. სტამბა უკვე ნაპოვნი მაქვს და, რაც ყველაზე მეტად მახარებს, 500 ცალზე ბევრად მეტი დაიბეჭდება პირველივე ტირაჟით.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მდინარის, გზატკეცილის ქვეშ გაყვანილი წყალგამტარი მილი; 2. ქულა ძიუდოში; 3. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადნის ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 5. რეზინის სპორტული ფეხსაცმელი; 6. აზიაში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 8. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 11. ოსური ხაჭაპური; 13. მარნეულის ძველი სახელწოდება; 14. ლითონის ფულის ერთ-ერთი მხარე; 15. ყვავილების კონა; 19. ძველი ებრაული ბიბლიის სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ზღვისპირა კურორტი ხორვატიაში; 4. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 7. ახირებულობა, ჭირვეულობა; 9. თავადაზნაურთა წინამძღოლი ძველად საქართველოში; 10. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში; 12. სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი დისციპლინა, თანამედროვე ორჭიდი; 16. კვერცხით, ფქვილით, ხახვითა და ძმრით შეზავებული მოხარშული ქათმის ბულიონი; 17. ვოინიჩის რომანი; 18. კუთხე საქართველოში; 20. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 21. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. გემის, თვითმფრინავის ოფიციანტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

